45
979
66
ეროვნული ბიბლიოთეკა




იანვარი
№ 1 1979 წ.

# საბჭოთა ქალი



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დედებო, გილოცავთ!

მადლი შენს გულს, უხვს და ნეტარს,
შენ შუქმფენობ ქვეყნად, დედა.
საახალწლო ცვივა თოვლი,
შენ კი ჩვენზე ფიქრობ თრთოლვით,
შენი გულის სარკით ვხედავთ
მშვიდობის წელს ლოცავ დედა,
შენი თვალის შუქით ვხედავთ
ქვეყნად ჩვენთვის ცოცხლობ, დედა.
ეს ახალი წელიც დედა,
ჩვენზე ზრუნვით დაგებედა.
რადგან ქვეყნად ყველა სევდას
შენ ედები წამლად დედა,
ვართ შენით ვართ ნებიერი,
გვიძლვის ფეხი ბედნიერი
ტანმრთელობა,
ჯანმრთელობა
გამრავლება,
ქართველობა,
ბევრი და-ძმა, სადღეგრძელოდ
გვაკოცნინე აკვანშიო,
ახალი წლის ნორჩი დილა
მხრებით მოჰყავს კავკასიონს!
შემოვხარით შენს თბილ თვალებს,
გვსურს ქვეყნის მზედ აგარჩიოთ.
ჩვენი კოცნაც მიითვალე
მოლოცვათა ნაკადშიო!

ნაზი კილასონია



„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии

ეროვნული ბიბლიოთეკა



# 1979 — ბავშვის საერთაშორისო წელიწადი

I6 193

დიდი სიხარულით ეგებება კაცობრიობა ყოველ ახალ წელს. ეგებება ახალი ოცნებებით, ნატვრით, იმედებით, იმ ღრმა რწმენით, რომ ეს წელი იქნება მისთვის ყველაზე მშვიდობიანი, კეთილი და ფეხბედნიერი. განსაკუთრებით დიდია ბავშვთა აღფრთოვანება, უკიდეგანო — მათი ნატვრა და ოცნებები...

ასეთ სანატრელ და სასურველ სტუმრად გვეწვია ეს ახალი **1979** წელიც და სიხარულითა და იმედებით შეხვდნენ მას ჩვენი პლანეტის პატარა ადამიანები — ბავშვები. ახალი წლის მობრძანების სიხარულს აათკეცებს მისია, რომელიც გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციამ და მასთან მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ **1979** წელს დააკისრა — იგი ბავშვის საერთაშორისო წელიწადად იქნა გამოცხადებული.

ჯერ კიდევ **1924** წელს, ბავშვთა უფლებების დაცვის ჟენევის დეკლარაციაში, ხოლო მოგვიანოდ, **1959** წელს გამოქვეყნებულ, გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციის დეკლარაციაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ მსოფლიოს ბავშვთა ცხოვრება გადაუდებელ, აუცილებელ მოწესრიგებას საჭიროებს; რომ ბავშვებს განსაკუთრებული დაცვა სჭირდებათ და ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მათს სრულყოფილ ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ, სულიერ აღზრდას; რომ ბავშვი, ხვალინდელი მოქალაქე თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი სახის დისკრიმინაციისაგან და მისი კანისფერის, ეროვნების თუ რელიგიური მრწამსის მიუხედავად, ურთიერთგაგებისა და პატივისცემის, ხალხთა შორის მეგობრობის, მშვიდობისა და საყოველთაო ძმობის პირობებში უნდა იზრდებოდეს.

**20** წელი გავიდა გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციის ამ დოკუმენტის გამოქვეყნებიდან. მაგრამ ამ წლებს არსებითი ცვლილებები არ შეუტანიათ მსოფლიოს ბავშვთა ცხოვრებაში. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა განვითარებად ქვეყნებში, სადაც ბავშვები მრავალგვარ დაავადებას, შიმშილს, უმეცრებასა და სილატაკეს ეწირებიან, თუმცა არც ზოგიერთი განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნის ბავშვებს აქვთ უფრო ბედნიერი ბავშვობა.

ამ გარემოებამ განაპირობა გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის **1976** წლის **21** დეკემბრის **XXXI** სესიის გადაწყვეტილება — **1979** წლის ბავშვის საერთაშორისო წელიწადად გამოცხადება.

ამ ღირსშესანიშნავი აქციის დანიშნულებაა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრისა და ძალების მობილიზება ბავ-

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ

შვთა უფლებების დეკლარაციით გათვალისწინებული პრინციპების ცხოვრებაში გასახორციელებლად.

ბავშვის წელიწადისათვის სამზადისში ჩაება მსოფლიოს მრავალი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაცია. მათ შორის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ ივალდებულა შეისწავლოს და განსაზღვროს მომუშავე ბავშვების შრომისა და ყოფის პირობები, ეძიოს მათი განათლებისა და პროფესიული ზრდის ოპტიმალური საშუალებები, დასახოს ბავშვთა მძიმე შრომის ლიკვიდაციის ქმედითი ღონისძიებები.

იუნესკო თავის მოღვაწეობას ახორციელებს შემდეგი მიმართებით: შეისწავლის ბავშვთა მატერიალური კეთილდღეობის, ჯანმრთელობის, განათლებისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური განვითარების ურთიერთდამოკიდებულებების საკითხებს, ყურადღებას ამახვილებს ლტოლვილ ბავშვთა მდგომარეობაზე, განვითარებადი ქვეყნების ბავშვებისათვის საერთაშორისო დახმარების გაძლიერების საკითხებზე.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია, მისი ეროვნული ორგანიზაციები, გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციის ფუნქციონალურ კომისიებთან და სხვადასხვა სპეციალიზებულ დაწესებულებებთან ერთად, აწყობენ სემინარებს, კონფერენციებს, საუბრებს მრგვალ მაგიდასთან, იხილავენ ბავშვთა მდგომარეობას სხვადასხვა ასპექტში...

ქსდფ-ს გადაწყვეტილებით წლეულს გაიმართება ბავშვის წელიწადისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „ბავშვთა მშვიდობიანი, ბედნიერი მომავლისათვის“.

ამ დიდმნიშვნელოვანი კონფერენციისათვის სამზადისს მიეძღვნა სემინარები და კონფერენციები, რომლებიც გაიმართა პრაღაში, ვენაში, დელში, მოსკოვში...

— ჩვენი სიყვარული ბავშვების მიმართ და მისწრაფება — დავიცვათ მათი უფლებები, მივცეთ მომავალ თაობებს ბედნიერი ცხოვრება, უნდა გადაიზარდოს მოქმედებაში — აცხადებდნენ შეკრების მონაწილენი. — უნდა მივაღწიოთ იმას, რომ სახელმწიფოთა მთავრობებმა უარი თქვან შეიარაღების გაძლიერებაზე, ნეიტრონული ბომბისა და მასობრივი განადგურების სხვა იარაღის წარმოებაზე. გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციაში შემავალ ყველა სახელმწიფოს მოქმედება უნდა წარიმართოს ხალხთა სოციალური საჭიროებების და, პირველ რიგში, ბავშვთა საჭიროებების დაკმაყოფილების გზით.

როგორც ყოველთვის და ყველა ჰუმანურ საქმიანობაში, აქაც, ჩვენი პლანეტის ბავშვთა მშვიდობისა და ბედნიერებისათვის ბრძოლაში, მოწინავე პოზიციებზე დგას სოციალისტური ბანაკი. ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში, რომლის არსებობის პირველივე დღეები ბავშვებზე ზრუნვით დაიწყო, და სადაც ბავშვებს ბედნიერი ცხოვრების ყველა პირობა აქვთ შექმნილი, ყველასათვის ნათელია ბავშვის საერთაშორისო წელიწადის ამოცანათა სიდიადე და ის როლი, რომელიც მათს განხორციელებაში ჩვენ გვეკისრება.

ამ მოვალეობის სრული შეგნებით და ღრმა რწმენით ვართ ჩართულნი დიდ საკაცობრიო მოძრაობაში, რომელსაც ბავშვთა უფლებებისათვის, ხალხთა მშვიდობისა და ბედნიერებისათვის ბრძოლა ეწოდება.

დაე, გამარჯვებებით უხვი, მშვიდობიანი და ფეხბედნიერი იყოს მსოფლიოსათვის ეს ახალი 1979 წელი!



ამას წინათ თბილისელმა გმირმა დედამ ქეთევან დათიაშვილმა წერილი გაუგზავნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს.

მრავალშვილიანი დედა დიდ მადლობას უხდიდა ძვირფას ლეონიდ ილიას ძეს იმ დიდი ზრუნვისათვის, რასაც ის ჩვენი ქვეყნის ბავშვებსა და მრავალშვილიან დედებს უწევს.

კრემლიდან დათიაშვილების ოჯახმა მეტად სასიხარულო პასუხი მიიღო. წერილს ხელს აწერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

ჩვენი პარტიის ხელმძღვანელი გულთბილ წერილს წერს ათი შვილის დედას ქეთევან დათიაშვილს:

გმირ დედას
ქ. ი. დათიაშვილს

ძვირფასო ქეთევან ივანეს ასულო!

ძალიან გამახარა თქვენმა გულითადმა წერილმა. თქვენთვის, ათი შვილის დედისათვის განსაკუთრებით ახლობელი და ძვირფასია ყოველივე, რასაც ჩვენი პარტია და მთავრობა აკეთებენ საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობისათვის, ქვეყნად მშვიდობისათვის.

სულით და გულით ვუსურვებ თქვენს დიდ ოჯახს წარმატებებსა და ბედნიერებას, დაგზრდოდეთ შვილები ჯანმრთელნი, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ღირსეული მოქალაქენი.

პატივისცემით

ლ. ბრეჟნევი.

9 ნოემბერი, 1978 წელი.

ეს დიდებული მაგალითია ჩვენი სოციალისტური ქვეყნის ცხოვრებისა, სადაც პარტია და მთავრობა ასე ზრუნავს თითოეულ ადამიანზე, ყოველ მუშაზე, ბავშვებზე, დედებზე.

ქეთევან და ვახტანგ დათიაშვილები თბილისელი მუშები არიან. ქეთევანი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო გაერთიანების მეთაური ქარხნის კეთილმოწყობის უბნის მებაღეა. მათ ათი შვილი ჰყავთ, ხუთი ვაჟი და ხუთი ქალიშვილი. ბავშვები ჯანმრთელები არიან და სხვადასხვა სასწავლებლებში სწავლობენ, აქვთ კარგი ბინა. ამ დიდი ოჯახის კეთილდღეობისათვის ზრუნავს ქარხანა, სკოლები, რაიონისა და ქალაქის ხელმძღვანელები.

ყველას ზრუნვა თითოეულის კეთილდღეობისათვის და თითოეულის ზრუნვა ყველას კეთილდღეობისათვის, — ასეთია ჩვენი ცხოვრების კანონი, ასე ჩაიწერა ახალ კონსტიტუციაში. ამ ზრუნვით იზრდებიან დათიაშვილების ბავშვები. ისინი ბედნიერი ქვეყნის შვილები არიან — მიიღებენ განათლებას, გავლენ ცხოვრების დიდ გზაზე.

მივულოცოთ ახალი 1979 წელი მათს დიდ ოჯახს, გამრავლებულსა და ბედნიერს!..

იხაროს ქეთევან და ვახტანგ დათიაშვილების მაღალმა ჭერმა!

ჩვენს მკითხველებსაც ვულოცავთ ახალ წელს და ვუსურვებთ ყოველ მათგანს ჰქონოდეს ასეთი დიდი ოჯახის სიხარული!..



# მთის შვილი



## სოციალისტური შრომის გმირი ექიმი ლუბა ნიჟარაძე

ნარკვევი

მოდიან შუბლშეკრულები, მძიმედ, თავზე სარქველივით ქუდები ადევთ. ცალი მხარი ოდნავ აწეული აქვთ, ცალი ცოტა დაშვებული. ხელით საიმედოდ უჭირავთ ხაკაცე.

მოდიან მთის შვილები დინჯად, ნაბიჯ-ნაბიჯ, სხვა დროს ირმებივით მხტომარენი.

თუმც ნაბიჯები დიდი აქვთ, ზოგჯერ ამ ნაბიჯებს ამცირებენ, როცა ახსენდებათ, რომ მათ მოსდევს ქალი, თაფლისფერთვალება, ოდნავ ფართო ყვრიმალებიანი, მაგრად რომ მოუკუმავს ტუჩები. ის მაღალია, მსუბუქად დადის, მაგრამ მისი ნაბიჯები ორჯერ ნაკლებია მამაკაცისაზე, ალბათ იმიტომ, რომ გამთენიისას დაადგა გზას მათი სოფლისაკენ და შუადღემდე იარა... მივიდა მათთან დაღლილი, დიდხანს არ გაჩერდა, და ისევ უკან მოჰყვება თავისსავე გაკვალულ ბილიკს. მისი დილანდელი ნატერფალები წაშლილია, თოვლსა და ქარს წაუშლია. ახალი, მომცრო ნაბიჯებით იხატება თეთრი, ფაფუკი ხალიჩა.

აი, შედიან სითბოში, სინათლეში, თეთრ პალატაში...

და როცა განსაცდელმა უკან დაიხია, კიდეც ირიჟრაჟა. ახლა მიხვდა, რომ არ უძინია, შინაც არ შეუხედავს. ავადმყოფს ერთხელ კიდევ დახედა და შინისაკენ გასწია.

დედა დილაადრიან აივანზე იდგა.

— ქემლათ, შემოდი, გაცივდები, — გაიგონა მამის დაგუბებული ხმა.

დადეშქელიანის ასული შვილს ელის. და აი, რომ დაინახა, კიბეზე ჩამორბის, თავშალს იხსნის, შვილს ახვევს, ხელებს უთბობს. დედა მისი დიდი მეგობარია. მისი მეგობრების, ამხანაგების, ნაცნობების მეგობარიც არის. იშვიათი უნარი აქვს შვილის ტოლებთან დაამხანაგების.

მამა თითქოს კუშტად იყურება აივნიდან, მაგრამ შვილმა იცის მისი ყოველი გამოხედვა, კითხულობს მის აზრებს და ეღიმება — მამამისი კმაყოფილია. ექიმი სხვანაირად ვერ მოიქცევაო — ამბობს თვალები.

ასე კითხულობდა ამ თვალებში მშობლის აზრს ყოველთვის, თუნდაც მაშინ, როცა გახვითქულ ცხენს შემოაგდებდა ეზოში სოფელში ნამყოფ-ნასიარულევი მამა, მძიმედ, ფიქრიანად ავიდოდა ზედა სართულზე. გოგონას ცელქი აზრი გაუნათებდა გონებას, წუთს მოექცეოდა ცხენს ზურგზე და გავარდებოდა ეზოდან. მზის ჩასვლას შეხვდებოდა მთის ძირას, მის გამოთხოვებას მწვერვალებთან. მერე ლურჯ ყვავილებს დაკრეფდა და ფაფარში გაუყრიდა ცხენს. ცხენი მოჰქროდა გახარებული, ტვირთის სიმსუბუქე სულ უფრო აჟულიანებდა და ნიჟარაძეების ეზოში ჭენებით შერბოდა.

მაშინაც აივანზე ელოდა მამა, მისი პირველი მასწავლებელი, გზის დამლოცავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ნიჟარაძე — პირველი სვანი ექიმი — თერაპევტიც იყო, პედიატრიც, ლარინგოლოგიც, ქირურგიც, გინეკოლოგიც.

პატარა თეთრი სახლი ხუთი კაცისათვის მისი ხელით და რიყის ქვით აშენდა. მერე ის გადიდდა ათი, თხუთმეტი, ოცდათხუთმეტი ავადმყოფისათვის. სვანები უკვე ექიმბაშებს აღარ უგდებდნენ ყურს და ბილიკებით, საკაცით, მარხილით მოდიოდნენ თავიანთ ექიმთან — გიორგი ნიჟარაძესთან, რომელმაც ოდესაში მიიღო სამედიცინო განათლება, ხოლო ხალხის სიყვარული, უანგარობა და თავგანწირვა აქ, ამ მიწაზე შეისისხლხორცა.

ტრადიციული იყო გიორგის ოჯახი. მამამისი, გაბრიელ ნიჟარაძე სვანეთის პირველი განმანათლებელია. განათლების ისტორია აქ მულახის ორკლასიანი სასწავლებლით იწყება, რომელიც გაბრიელმა დააარსა. იგი ადრეულ გაზაფხულზე ენდო მუშურის უღელტეხილს. იცოდა, იქ თოვლი და ყინული ყველაზე ადრე იწყებდა დნობას. თუმცა ადრე იხსნებოდა ეს სავალი გზა, მაგრამ სხვა დაბრკოლებები აქ ყველაზე მეტი იყო. სწავლის სურვილმა არ დააყენა გაბრიელი. მან ამ საშიშ უღელტეხილს მისცა თავი და, როგორც იქნა, ქუთაისში მოხვდა. აქედან რუსეთს გაემგზავრა და პედაგოგიური განათლება მიიღო.

მონატრებული ელოდა შვილს სოფელი უშგული თავისი კოშკებით, თავისი თოვლიანი მწვერვალებით. ერთი კი იფიქრა გაბრიელმა, აქ გავხსნი სკოლასო, მაგრამ მულახის მოხერხებულმა მდებარეობამ, სიდიდემ, ცენტრთან სიახლოვემ გადასწონა. განათლების სხივი აინთო სვანეთში.

მამის სიკვდილის შემდეგ გიორგიმ უშგული მიატოვა, მესტიაში დასახლდა და პატარა საავადმყოფოს კეთილდღეობისათვის დაიწყო ზრუნვა.

დღე ისე არ გავიდოდა, შორეულ სოფელში არ წასულიყო ფეხით. რა თქმა უნდა, ერთხელაც არ აუღია საზღაური. მას სამედიცინო განათლება შეჰქონდა ხალხში, არწმუნებდა სვანებს, რომ არ მიემართათ ექიმბაშისთვის, გამოეყვანათ მშობიარენი ბოსლებიდან, დაევიწყათ ეს სასტიკი ადათი.

იმედი და გულისგატეხა არ შორდებოდა გიორგის. ხან ეგონა, რომ ფუჭად შრომობდა, არ ენდობოდა ხალხი, ხან კი კვირაში ერთი ავადმყოფი რომ მიადგებოდა, მიზანს მიღწეულად თვლიდა. მთის ხალხმა ერთბაშად ანდო სიცოცხლე მთის ექიმს. ეს უეცარი შემობრუნება წლებმა, თვეებმა, დღეებმა მოამზადა.

გიორგის მაგალითი ოთხი შვილიდან მხოლოდ ლუბამ გადაიღო, მხოლოდ ის გაჰყვა მშობლის კვალს და როცა ექიმად დაბრუნდა მესტიაში, მამის მდიდარ გამოცდილებას დაეწაფა.

ოცდაშვიდი წელია მთაშია ექიმად. სად არ შესთავაზეს ადგილი, სად არ სთხოვეს გადასვლა, მაგრამ ფეხი არ მოიცვალა. ოჯახის ხმა ეძახის და აქ უნდა დარჩეს ბოლომდე. ამ გაფართოებულ საავადმყოფოს ის პატარა პალატას ეძახის, მამამ რომ ააგო პირველად.

ყველა სვანი იცნობს დიდებული ნიჟარაძეების შვილს. ბევრს რგებია მისი ხელის სითბო, ზრუნვა და ყურადღება. ბევრსაც იმედი აქვს, რომ თუ დასჭირდება, ლუბა არაფერს გაუჭირვებს, უეჭველად უშველის, მოარჩენს. თერაპევტი ექიმი გაიტაცა სვანეთის მინერალური წყლების გამოყენებამ. 300-დან 160 დასახელების წყალი შეისწავლა სამკურნალო თვისებებით. ეს წყლები უებარ დახმარებას უწევს ავადმყოფის მკურნალობაში. ლუბას დიაგნოზი ზუსტია, დიდი დაკვირვების, ლაბორატორიული თუ ანალიზური შესწავლის შედეგია. მედიცინის ყოველდღიურ წინსვლას რომ არ ჩამორჩეს, სიახლეებს ცვალდაკვალ მისდევს და თუმცა შორს არის კულტურის ცენტრებიდან, ყველაფერს იგებს, ყველაფერს ითვისებს.

თუ მოენატრება, შეუძლია დატოვოს მესტია, ჩამოვიდეს თბილისში, დაესწროს კონცერტს ან წარმოდგენას, მერე ჩაჯდეს თავის მანქანაში და დაკეცოს ცხრასაათიანი გზა.

რა დაათმობინებს ლუბას მთას! აქ ხომ მისმა გვარმა ოფლი ჩაღვარა, აქ ხომ ის მაგარი, აუწყვეტელი ჯაჭვებია, რაც აბამს და არ უშვებს. აქ ფეხით დადიოდა სოსო ასლანიშვილი და სვანეთისათვის ილვწოდა. მან უშველა ხალხს, თავიდან ააშორა ჩიყვის დაავადება. აქ ლუბას მოსწრებული ვაჟი გეგი ხან ცხენს მოახტება, ხან მთების დაპყრობას ცდილობს, ხანაც დედას უზის და ავადმყოფის მდგომარეობას მასავით განიცდის. ჩანს, გეგიც კარგი ექიმი გამოვა.

რა დაათმობინებს ლუბას სვანეთს! მესტიაში ახალი სკოლა აშენდა. მალე საავადმყოფოს ახალი შენობა ექნებათ. ხალხი სამრეწველო დარგებს დაეუფლა, მოსახლეობა სარგებლობს საყოფაცხოვრებო მომსახურებით. ახალი სასტუმრო კაცთმოყვარულად ხსნის სვანეთის კარს. ყველა სვანი სტუმრის დახვედრის მოლოდინშია, ყველა ოჯახი სტუმრისათვის მზად არის.

ვერ შეელევა მთას, სადაც მესტიიდან 40 კილომეტრზე მამა-პაპათა სოფელი უშგულია. მისი გახსენება გულგრილად არ შეუძლია არცერთ წუთს. უშგულმა შემოინახა ძველი სვანური იერ-სახე. იქნებ კიდეც ამიტომ არის გულთან ასე ახლოს, ვერ გაურბის მასთან შეხვედრის ცდუნებას. და ეს ცდუნება მაშინ უფრო ძლიერია, როცა დედაქალაქიდან სტუმარი ჩამოდის — პირველი ფიქრი უშგულისაკენ გახვევა, იქაურით თავის მოწონებაა.

მიეპარება მაღალ მთას და მიესალმება.

აქ ბუნება ადამიანსა ჰგავს: მარტო გაზაფხულზე, შემოდგომაზე ან ზამთარში კი არ ეცვლება გუნება, არამედ ყოველდღე, ყოველ საათს, ყოველ წუთს. ირგვლივ სულ სხვადასხვა ჩრდილებია, სხვადასხვა ფერებია, სხვადასხვა სურნელებაა.

ლია კაკაბაძე

# ყამირული გულის სითბო

ჩვენ ორი ათასნი ვიყავით, მაგრამ ამ ორი ათასში მას გამორჩეული ადგილი ეჭირა, ყველანი თვალებში შევციცინებდით, მისით ვამაყობდით. ხუმრობა ხომ არ იყო — ყამირის დასალაშქრავად მივდიოდით და ამ ორი ათას ჭაბუკს თან ერთი ქალიშვილი მოგვდევდა თანამებრძოლად და მფარველ ანგელოზად. ყაზახეთს მიმავალი ეშელონი ჯერ ისევ კილომეტრებს კეცავდა, „რუსთაველი ნათელა" კი თითოეული ჩვენგანისათვის უკვე ღვიძლ დად გადაიქცა.

ეს იყო 1956 წელს — ყამირის პირველი უხვი მოსავლის აღებისას საქართველოს კომკავშირმაც თქვა თავისი ვაჟკაცური სიტყვა. საქართველოდან ჩასული მოლაშქრეები კუსტანაის ოლქის სხვადასხვა რაიონებსა და მეურნეობებში გაგვანაწილეს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტები ერთ რაზმში მოვხვდით, რუსთაველი კომკავშირელები კი ცოტა მოშორებით შრომობდნენ. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს შორის ასობით კილომეტრი იდო, რესპუბლიკური შტაბის მეშვეობით ერთმანეთის ამბავს ყოველთვის ვიგებდით. ამბები კი ნამდვილად სასიხარულო მოდიოდა. მოსავლის აღებაშიც, საკვების დამზადებაშიც თურმე თავი ისახელეს რუსთაველებმა.

— ნათელა, როგორ არის, ხომ არ უჭირს მუშაობა? — ვკითხულობდით ყველანი.

— ღმერთმა ქნას, ყველა ბიჭი ისეთი ფხიანი იყოს, როგორიც ნათელაა — გვიპასუხებდნენ შტაბის წარმომადგენლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათელა პროფესიით მშენებელი იყო, ქალაქში დაბადებული და გაზრდილი, მაგრამ მინდვრის სამუშაოებსაც ადვილად აუღო ალღო. კომბაინის მეშტურვალეობა იკისრა. აგრეგატი, რომელზეც ნათელა ხვედელიანი მუშაობდა, მალე ყველაზე მოწინავე გახდა.

ყამირი იმ დროს მარტო პურს როდი იმკიდა, უკიდეგანო სტეპში მხრებს შლიდა ახალი დაბა-სოფლები, შენდებოდა სკოლები, მეცხოველეობის ფერმები, ელევატორები. იმ მეურნეობაში, სადაც რუსთაველთა რაზმი იმყოფებოდა, დიდი საწყობის მშენებლობას შეუდგნენ. კალატოზები და დურგლები აკლდათ. რუსთაველებშიც მოიკითხეს ამ საქმის მცოდნენი. ნათელა ხვედელიანზე უკეთეს კალატოზს ვერ იშოვითო, — უპასუხეს, კომბაინერებს ძალიან ენანებოდათ ყოჩაღი მეშტურვალის გაშვება, მაგრამ რას იზამდნენ. მეშტურვალეობას სხვებიც შეძლებდნენ, კალატოზობას კი — ვერა. ნათელა საწყობის მშენებლობაზე გადავიდა სამუშაოდ და იქაც თავი ისახელა.

...ამას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. მეც და იმდროინდელ სხვა ყამირელებსაც სამუდამოდ დაგვამახსოვრდა ჩვენი თანამოლაშქრე „რუსთაველი ნათელა". წლები მისდევდნენ ერთმანეთს და იგი არც სადმე შემხვედრია, აღარც მისი ამბავი გამიგონია.

1975 წლის ზამთარი იდგა. ბამის მშენებლებთან ჩავედი. გადავწყვიტე ერთ თვეს მათთან ერთად მემუშავა. ერთ დღეს „საქბამმშენის" უფროსმა ანზორ დვალიშვილმა მითხრა: საცხოვრებელი სახლის დამთავრებას ვჩქარობთ, ვიქტორ მახარაძეს რომ მიეხმარო, კარგს იზამო.

მაშინვე მშენებლობისაკენ გავეშურე. ოცდაათგრადუსიანი ყინვა სახეს ისე მიწვავდა, მეგონა ცხელ შანთებს მადებენო. ახლახან აშენებული სახლის თავზე კი დურგლები ისე გაფაციცებით შრომობდნენ, თითქოს ძვალ-რბილში გამთოშავი ქარი კი არ უვლიდათ, სასიამოვნო ნიავი ელამუნებოდათ. მხოლოდ ვიქტორ მახარაძის წვერ-ულვაშზე ჩამოკიდებული ყინულის ლოლუები შეგვახსენებდა ციმბირის შუა ზამთარს. მშენებლები ჩქარობდნენ, სახლი საახალწლოდ უნდა ჩაებარებინათ.

— ნათელა, ლურსმანი ამოგვიტანე! — ჩასძახა ვიქტორმა დაბლა ვილაცას.

რამდენიმე წუთში ჯერ ყუთი ამოგვაწოდა, მერე დაბამბულ შარვალში და თბილანაში გამოწყობილი ახალგაზრდა ქალი ამოვიდა.

— გაიცანით, ჩემი მეუღლეა! — მითხრა ვიქტორმა.

ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა დურგალ ვიქტორ მახარაძის მეუღლეში ყველა ყამირელის საყვარელი და „რუსთაველი ნათელა" ვიცანი.

ნათელა ხვედელიანი ახლა ნათელა მახარაძეა, ოთხი შვილის დედა; ბამის მოწინავე მშენებელი.

დაუდგრომლობა, სიცოცხლისა და შრომის სიყვარული მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვა ნათელას. ქართველი ქალიშვილებიდან იგი პირველი ლაშქრავდა ყამირს, შემდეგ მეუღლესთან ერთად აშენებდა კამაზს. მერე კი, როცა ციმბირის შორეული სივრცეებისაკენ გამოეშურნენ ბამის მშენებლები, ნათელა და ვიქტორიც მხარში ამოუდგნენ მათ. ისინი კომკავშირულ ასაკს დიდი ხანია გადასცდნენ, მაგრამ ახალგაზრდული შემართება და რომანტიკული განწყობილება ერთი წუთითაც არ დაუკარგავთ.

ბევრი კარგი მშენებელი ჰყავს ნია გრუზინსკაიას, მაგრამ ნათელასთანა ოსტატი ბევრი არ არის. კალატოზობა, მებეტონეობა, მღებაობა, მეამწეობა... ყველა ეს ხელობა ფრიადზე იცის. მაგრამ ამ ნამდვილად ვაჟკაცურ და მძიმე პროფესიებს ოდნავადაც არ გაუუხეშებიათ ნათელა. იგი სათნო, მოკრძალებული მეგობარი, ნაზი მეუღლე და მზრუნველი დედაა.

ყამირისა და ბამის გმირი ქალი კარგ შვილებსაც უზრდის სამშობლოს. უფროსი ქალიშვილი ნინო ირკუტსკში სწავლობს სამედიცინო ტექნიკუმში, თამრიკო და ქეთინო ნია გრუზინსკაიას სკოლაში სწავლობენ. პატარა ვიქტორი კი ახლა იდგამს ფეხს. სამი ქალიშვილის დედას ვაჟი ბამზე შეეძინა. მთელმა ნია-გრუზინსკაიამ გადაიხადა ძეობა.

შესანიშნავად თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა „ყამირში" — „ადამიანი მიწაზე პურს ზრდიდა — მიწა კი ადამიანებს ზრდიდა".

მართლაც რამდენ კეთილ საქმეს დაუდო სათავე ყამირმა, რამდენი ადამიანის გულში აენთო პატრიოტიზმის, ინტერნაციონალიზმის, ხალხისათვის სამსახურის ცეცხლი, რომელიც მხოლოდ კეთილი საქმეებისაკენ მოგვიწოდებს და გვაკეთებინებს!

ეს ყამირული ცეცხლი ნათელა ხვედელიანი-მახარაძის გულშიც გიზგიზებს.

ვ. გოგოლაშვილი,
გაზეთ „სოფლის ცხოვრების" რედაქტორის მოადგილე.







ეროვნული ბიბლიოთეკა



დ. იაკობაშვილის ფოტო

# ათას სამასი ვარსკვლავი

ახლა ენგურჰესი დიდებული სანახავია. დადგა გამარჯვების დღეები — პატაკი პატაკზე მიდის კრემლში.

ლეონიდ ბრეჟნევის მისასალმებელმა წერილმა აღაფრთოვანა ყველა მშენებელი, დაწყებული ჯვარიდან, სადაც მსოფლიოში ყველაზე მაღალი კაშხალი შენდება და დამთავრებული გუდავათი, სადაც ზღვასთან ენგურის ახალი შესართავია.

რესპუბლიკის უდიდესი ობიექტის — ენგურჰესის მშენებლებთან ხშირად ნახავთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ედუარდ შევარდნაძეს.

ახლა ყველა გზა ენგურჰესისკენ მიდის.

განუწყვეტლივ მიიწევს ცისკენ კაშხლის სიმაღლე. მშენებლობა სწრაფი ტემპით გრძელდება, მაგრამ ენგურის ენერგია უკვე არის ქვეყნის არტერიებში.

ენგურჰესს ათი ათასი მშენებელი აგებს, მათ შორის ათას სამასი ქალი.

ათას სამასი ვარსკვლავი ანათებს ენგურჰესს, — ამბობს სოსო კეიდია, — საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის შტაბის უფროსი.

ბეჯით, სიძნელეებთან ბრძოლაში შეუპოვარ ქალიშვილებსა და ახალგაზრდა ქალებს გულისხმობს ის ამ ვარსკვლავებად.

პირველი ქალი, რომელიც ენგურჰესის მშენებლობის დამწყებთ ჩამოჰყვა, იყო და არის ლუდმილა სავოვა.

სწორედ მან, ლუდმილა სავოვამ გახსნა განრიგი 1961 წლის მაისში. იგი წლების მანძილზე კადრების განყოფილების ინსპექტორია.

იმავე წელს მოვიდა ის — ალექსანდრა ზაიცევა — სამარკშეიდერო განყოფილების უფროსი ინჟინერი.

ასახელებენ მოწინავე ქალებს — ენგურჰესის ვარსკვლავებს:

ბეტონის ქარხნის მოტორისტს მარიამ თურმანიძეს, პროფესიაში საუკეთესოს, კომკავშირელ მღებავს ნელი ჩიქოვანს, ტელეფონისტ ალექსანდრა ბოჩკარიოვას, მებათქაშე რიმა ბელოუხოვას, კაშხალის მშენებლობის სამმართველოს პროფკავშირული კომიტეტის თავმჯდომარეს ნადია ბოკუჩევსკაიას, ბეტონის ქარხნის ოპერატორს ვალენტინა ბოჟკოს.

* * *

ენგურჰესზე საკმარისია იკითხოთ, დოდოს სად ვნახავო, ყველა მიხვდება, რომ დოდო კვარაცხელიაზეა ლაპარაკი.

ის მაშინ გავიცანი, როცა ოპერატორი იყო და კაშხალის ტანში ბეტონის ჩასხმის საქმეს არეგულირებდა.

მე ნამდვილად არა ვარ მეორე ასეთი ქალიშვილის მნახველი.

მხიარული, საქმისათვის თავდადებული და უშიშარია; ბეწვის ხიდზეც გაივლის; თამამად გაივლის. ზედმიწევნით კარგად იცის თავისი საქმე და, რაც მთავარია, სპეტაკია.

ბოლო დროს შეისწავლა, საფუძვლიანად შეისწავლა მძღოლის სპეციალობა.

ყველა ქალი ლამაზია ავტომობილის საჭესთან, მაგრამ თუ ის საერთოდ მომხიბლავია, ორმაგად გამოჩნდება მისი მშვენიერება.

იმიტომ კი არა, რომ საჭე დაამშვენებდა, — სწყუროდა მეტად გამოდგომოდა მშენებლობას, ეკეთებინა უფრო ვაჟკაცური საქმე.

მის დედას — რუსუდან აკობიას ვესაუბრეთ. განათლებული ქალია რუსუდანი, იურისტია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შრომა ოჯახში შევაყვარეთ. საშუალო განათლება მიიღო თუ არა, მითხრა: მინდა ვიმუშაოო.

— სად?

— ენგურჰესზე. ამას მირჩევს სკოლის დირექტორი, პატივცემული პისტი ფიფია.

კომკავშირის წალენჯიხის რაიკომიდან მოუტანია საგზური.

ოპერატორად მუშაობის დროს, ერთხელ, დაგვიანა მოსვლა, უკვე ღამე იყო. მეზობელს სთხოვა მანქანით წავიდეთ კაშხალზეო, დედაჩემმაც მოიხვია თავშალი და ჩაჯდა ავტომობილში.

დოდოს შემცვლელი არ მოსულიყო და საქმეს ხომ არ მიატოვებდა. დედამ კი არ დატუქსა, პირიქით — შეაქო.

მერე ქალიშვილმა მძღოლის სპეციალობა შეისწავლა. ერთ საღამოს დედას გამოუტყდა:

— „ბელაზზე" მინდა ვიმუშავოო, აი, ყველა საბუთი მზად არისო.

მაგიდაზე დაიწყო საქმიანი ქაღალდები.

— არ გაგიჭირდება, გოგო?

— არა.

დედას არ უყვირია.

შეთანხმდნენ, მაგრამ წამოიჭრა თითქოს გადაულახავი სიძნელე — ჩვენს ქვეყანაში ქალს არ ამუშავებენ ისეთ უზარმაზარ მანქანაზე, როგორიც ოცდაშვიდტონიანი „ბელაზია". დოდო კვარაცხელია კი არ თმობდა პოზიციას.

— დავეხმარეთ, შუამდგომლობა აღვუძარით, — ამბობს ენგურჰესის პროფკავშირული ორგანიზაციის მეთაური ვაჟა ჩაჩიბაია, — დაუშვეს გამონაკლისი.

ახლა დოდო კვარაცხელია დააქროლებს თავის „ბელაზს". გადააქვს სილა, ქანები, სხვადასხვა საშენი მასალები...

მეექვსე „ატეკის" კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა ლონდა შონიამ თქვა:



მარგარიტა თურმანიძე



დოდო კვარაცხელია.



მარჯვნიდან: ლონდა ქობალია, დოდო რუხაძე, მერი ხულორდავა.

— თქვენ გსურთ დაგიხასიათოთ დოდო კვარაცხელია? ხუთ სიტყვას გეტყვით: „ვაჟკაცური გოგოა, არაფრისა არ ეშინია".

დოდო ლენინგრადის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტია.

დოდო დედაა, ჰყავს ერთი წლის ბიჭი, დიმიტრი ბაბუშის ძე ნაჭყებია.

— კმაყოფილი ვარ სიძით, ნიჭიერი ყმაწვილია, ოჯახი უყვარს, — ამბობს რუსუდანი.

7 ნოემბერს ენგურჰესის შვიდი წარმომადგენელი თბილისის მშრომელთა დემონსტრაციას მიუძღოდა, ამ შვიდში პირველი იყო დოდო კვარაცხელია.

მაგიდაზეა ჟურნალ „ოგონიოკის" 1977 წლის მე-14 ნომერი, იქ მასალებია დაბეჭდილი დოდოზე და სხვა მოწინავეებზე.

აქვეა სიგელები...

დოდო კვარაცხელიას სახლი ზედ დაბის ცენტრთან არის. რუსუდანმა ჭიშკრამდე მოგვაცილა და როცა გრიალით ჩაიქროლა „ბელაზმა", ვკითხე:

— ხომ ასეთ მანქანაზე ზის დოდო?

— დოდოს მანქანა უფრო ლამაზია! — თქვა მან და მივხვდი, რომ ეს კეთილი ქალი გულში ამაყობდა შვილის გმირული საქმეებით.

* * *

მარგო მარგარიანი თბილჰიდროპროექტის მუშა-დაპროექტების

განყოფილებაში ენგურზე მშენებლობის დაწყებიდან მუშაობს. სად არ შეხვდებით მას. დამსახურებული არქიტექტორი მინახავს ახალ დასახლებებზე — ჯვარზენში, ფოცხოეწერში, ერისწყალზე, რეჩხში, ხაბერიოში, მზიურში, გუდავაში, და რომ დღეს ეს დასახლებები ლამაზია, ამაში მარგო მარგარიანის დიდი წვლილია.

ამ განყოფილებაში ჯგუფს ხელმძღვანელობს ინჟინერი, ჰიდროტექნიკოსი თამარ აფრიდინიძე. მამაკაცების მხარდამხარ ათეული წლების მანძილზე მრავალი ჰესის დაპროექტებაში მიუღია მას მონაწილეობა. პროექტები — მუშა პროექტები იქმნება განყოფილებაში. ისინი ცისანა პაიჭაძე-ხაზალიას აბარია. ცისანამ ამ 15 წლის წინათ დათმო თბილისი. იგი გამოჰყვა მეუღლეს, რომელიც ენგურზეა მშენებლობის დაწყების დღიდან. ცისანას ოთხი ვაჟი ჰყავს, ოთხივე ენგურჰესის პირმშოა. ნორჩი ენგურჰესელები ზუგდიდის მე-6 საშუალო სკოლის ხუთოსანი მოსწავლეები არიან. ჩემს წინ არის პატარების ქების ფურცლები. ბიჭებს მომავალ პროფესიას ვეკითხები, ინჟინრები, მშენებლები უნდა გამოვიდეთო, ერთხმად მეუბნებიან. არ მიკვირს, რომ ოთხ ვაჟიშვილს სურს მამის კვალს გაჰყვეს. მათმა მამამ ოთარ ხაზალიამ, საინჟინრო მოღვაწეობა ჯერ კიდევ ინგეჩაურჰესით დაიწყო. ოთარს მრავალი ჰესის დაპროექტებაში მიუღია მონაწილეობა, ხოლო მისმა რაციონალიზატორულმა წინადადებამ ენგურის მშენებლობას მრავალი ათასი მანეთის ეკონომია მისცა.

* * *

გუშინ ისევ შევხვდი დოდო კვარაცხელიას.

ჩვენი დროის შესაფერისი საქმიანი ქალიშვილია. უყვარს სისწრაფე, სძულს მდორე დინება.

— დოდო, ურემზე თუ მჯდარხართ? — ვკითხე მოულოდნელად.

— არა, ნამდვილად არა.

— არც გინახავთ?

— სწორედ გუშინწინ ჩავუქროლე. რამდენიმე წელია აქ ვარ და პირველად მაშინ მოვკარი თვალი ჭალეს მიდამოებში. ბებერ მეურმეს სიმინდი მიჰქონდა. შემეცოდა... ურემი ხომ ახლა ჩვენთვის ლამაზ რელიქვიად დარჩა!

მისი ტვირთი სამასი კილოგრამი იყო, ჩემი „ბელაზისა“ — — 27.000.

ის ჭრიჭინითა და ზოზინით მიიკვლევდა გზას, მე კი გრიალით ვკეცავდი კილომეტრებს.

— და რა გაიფიქრეთ თქვენ მაშინ?

— ის ერთადერთი ურემიც რომ არსად იყოს და იმ მოხუცმაც გადააგდოს სახრე, იმანაც იაროს ავტომობილით.

დოდო კვარაცხელია იღიმება და ამბობს:

— მოვუმატე სვლის სისწრაფეს. მეტი ძალით გავეშურე საბერიოსაკენ და ჩემს თავს მივმართე დიდი გალაკტიონის სიტყვებით:

„უფრო სწრაფად,
ისე, რომ
ის მეურმე
სამხრეთით
ჩანდეს, როგორც წერტილი,
თავის იფნის სახრეთი“.

რამდენიმე წამის შემდეგ, მოსახვევთან, დოდო კვარაცხელიამ უკან მოიხედა, მაგრამ წერტილიც არ ჩანდა.

ისმოდა შორს, ძალიან შორს ისმოდა მისი „ბელაზის“ გრიალი.

* * *

ათი ათასი ადამიანი აშენებს გიგანტს. ათას სამასი მშვენიერი ქალი — ათას სამასი ვარსკვლავი ანათებს ქვეყნის გამანათებელ ენგურჰესის ხარაჩოებს.

შალვა შენგელი



ირინე უშვერიძე

## ძველი და ახალი ქართული ენა

„შენ, ჰე, ფარნავაზ, ჰქმენ ერთმთავრობა,
შენ მოეც ქართველს წიგნი პირველი“...
დედაო ენავ,
რა დრო გასულა,
რა არ გარდაგხდა
თავს საკვირველი.

იგი ქართული
ნეტარის ძილით
მიწაში,
ქვებში,
ფრესკებში ბრწყინავს
და ახალს უქრობ შარავანდედად
ბერ-მოძღვარივით მიუძღვის წინა!..

## ირემი

სისხამზე
წყაროს მახლობლად
ფრთხილად მოძოვა ბალახი.
იყნოსა,
თვალი მოავლო,
(ალაგ არ ჰქონდა ნანახი).
რქები გადიწყო,
მთისაკენ
აიბილიკა ირემმა.

გზა სამშვიდობო ეგონა, —
უყელა მონადირემა.
თოფი მოზიდა,
შემართა...
ტყეს მიაშურა ირემმა.
ტკაცან-ტკაცანი გაიღეს
რტოებმა ამოყრილებმა,
ცვრის ცრემლი გადმოაფრქვია
ბალახმა მობიბინემა.

შიშგაუმქრალი თვალებით
უკუ იხედა ირემმა,
ისეთი ლამაზი იყო,
ვერ მოკლა მონადირემა!..





ხუთწლედის ნაბიჯები

# გზა ომალომდე

დღეებს შორისაც გამორევა ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული დღეები, დათესვით რომ არა დაუთესიათ რა და მკით კი იმკიან. წინწინ ჩავლილ უსახელო დღეებს ჭირთა თმენით უშრომიათ, უშენებიათ, შეუქმნიათ და, როცა დასრულებაზე მიმდგარა საქმე, გამოცხადებულა ის ქუდბედიანი, ზეიმიც მას რგებია და სახსენებლადაც ის დარჩენილა.

23 სექტემბერი მეტად შეუხედავი გათენდა, ქინქლიან-ნისლიანი და თან სუსხიც მოიყოლა. ვერ იფიქრებდი, რომ ქვეყნად გაჩნდა იმ დღეთაგანი. ადამიანებს რომ არ ავიწყდებათ, რომლის მობრძანებისა ქვემოთ, ბარში, წინადღითაც არაფერი იცოდნენ.

ის იყო ჩვენი თანამგზავრი სტორის ხეობაში. ზოგან წყალობას მოიღებდა და ნისლს იმოდენად გაათხელებდა, რომ ხშირი ტყეებით დაფარული მთები დაგვენახა. ახლოს კარგად ირჩეოდა მოწეული ნაყოფებით დახუნძლული ტოტები. სავსე შემოდგომა იდგა ხეობაში, რომლის სილამაზესაც აქამდე შორს ვერ გაუთქვამს სახელი, უთუოდ იმ მიზეზით, რომ არაგვის ხეობისავით გზიანი არა ყოფილა.

ჯერ სულ აღმა მიიწევდა კლდეში გამოკვეთილი, ალაგ ბეტონით კიდეებშემაგრებული გზა. როცა იმ ადგილს მივაღწიეთ, სადაც გადმოხურული კლდიდან გადმოვარდნილი ღელე შუაგზაში შხაპივით ასხამს და ყველაფერს წუწავს, ჩემი თუში თანამგზავრი მაყვალა რაინაული, აქამდე უსიტყვოდ რომ იჯდა, ერთბაშად დადგა ლაპარაკის ხასიათზე: ასეთი რამ არსადაც არ არისო. აქ ინათლება მთაში მიმავალი კაციო! ჩემო ვესტმოო, ჩემო საყვარელოო, რამდენი ხანია არ მინახიხარო. ლამაზო ბავშვობავ და ყვავილოვანო მინდვრებო, წმინდა წყაროებო და ხილიანო ტყეებო, როგორ მენატრებითო!

მაინც რა ხილი იცის მეთქი, ვკითხე და იმანაც მომითვალა, ქოლი, ხუნწი და ხურტკმელი, კეწარა, შოთხვი და თურსაო, რომ იცოდეთ, მაყვალივით შავად იწევიანო. კოწახური შვინდისფრად შემოდის, ხვაფა — ატმისყვავილის ფერია, ხოლო სტომი, დედაკოლი და ცერცელი სისხლისფერიო. აგე, ცირცელიც, როგორ ღუის ზედ გზის პირასო. მერე მძღოლს შეეხვეწა, მანქანა შეაჩერეო, აჩქარებით გადმოვიდა, გაბრდღვიალებული რტოები დაამტვრია და ნისლით დაბინდული მანქანა გაანათა. თვითონაც ანთებულ კელაპტარს ჰგავდა; ჩემს ვესტმოში ტყის ხილს საზამთროდ თივის ზვინებში ვინახავდითო.

მაღლა მიმავალი გზა მოულოდნელად მდინარისაკენ დაეშვა, ხიდზე გაგრიალდა და თავსხმა წვიმაც წამოვიდა. და როცა ისევ აღმართებს შევუდექით, ერთს ადგილას როგორც თეთრი და შავი, ისე იყოფოდა ძველი და ახალი გზა. ეს 45-ე კილომეტრზე იყო. ომის დროს მთელი კახეთი დასდგომია ამ საშვილიშვილო საქმეს და თორღვას აბანოებამდე მოუღწევია. თორღვას აბანო ცოტა ქვემოთ, ფერდობში მოჩანდა, რამდენიმე გავსილი შენობისაგან შემდგარი. და იმ თავსხმაში ფარღალალა ფიცრულში გამართულ სასაუზმეში შევეფარეთ.

აქ გავიცანით ეთერ სოხურაშვილი და მისი დედა: ეთერი დასასვენებელი სახლის ექთანია. იმისი დედა შვილს წამოჰყოლია — „გოგოა, მარტო ვერ გამოვუშვი ამ ტყეშიო“ — და სასაუზმეს ემსახურება. ეთერი ქალაქში მუშაობს, მაგრამ ზაფხული არ გავა, აქ არ ამოვიდეს. თუშია, ლეჩურელი და ქალაქში მთებს სიზმრად ნახულობს. დეკას სურნელოვანი ჩაი მოგვართვეს. თან აქებდნენ, მაღალი წნევის უებარი წამალიაო. როცა ეთერმა შეიტყო, რომ ომალოსკენ მივემგზავრებოდით, ტაში შემოჰკრა: გზის გახსნას დაესწრებითო. რა გზის გახსნასაო, — ვიკითხეთ. აქ განა რამდენი გზააო, — შემოგვიბრუნა კითხვა. დღეს ხისოს ჭალაში „ლენტი გაიჭრება“, მუშებისაგან ვიციო.

გულში მაინცდამაინც არ დავვიჯერებია. ისევ ფერდობებს შევუყევით და, როგორც კი აღმართები დაილია, ახმეტის უღელტეხილზე აღმოვჩნდით.

მართლა რომ უღელტეხილი ბრძანდებოდა: ზვიადსა და შიშველ ტანზე რძესავით ნისლი ებურა. და კიდევ იმიტომ ბრძანდებოდა უღელტეხილი, რომ მდინარეთა გამყოფს, ამინდიც მკვეთრად გაეყო, სტორის ხეობაში თუ წვიმდა, ჭანჭახოვანის ალაზანი მზეში ციმციმებდა.

წინდაწინ ფიცრის ჭალა დაგვხვდა. ჭალის თავზე ზეგანი იდგა ბალახოვანი, უჩეო, უჩრდილო სივრციანი. ამ იალაღებზე ზაფხულობით კარვები იშლება და ბავშვები დასასვენებლად ამოჰყავთ. გრილი, ცისფერი ჰაერი, გაათკეცებული ბრწყინვალების მზე, წყალი და ლოდები, რომლებიც საკვირველ სილამაზეებს თხზავენ და ყვავილები, ძველისძველ ზვავებს რომ თავზე გადმოსცქერიან, რთავენ მათს ყმაწვილურ დღეებს... როგორც კი შებინდდება, ცეცხლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინთება. კვარი, ლამპები და კელაპტრები აჭიატდება და მათს შუქზე ზღაპრებს პირველყოფილი მშვენება ენიჭება. ყმაწვილები აქ სწავლობენ ოცნებას და შეიცნობენ სიმშვენიერეს.

რაკი გზა გავა, საბავშვო კურორტებიც აღმოცენდებაო, — მითხრეს წინადღით პარტიის რაიკომში, — ალბათ ასეთ ადგილებს გულისხმობდნენ.

ზედ მდინარის პირას ჩამოვედით. უკან მოვიტოვეთ ფიცრის ჴალა. წყალ-წყალ მივგრიალებდით, ფონებს გადავდიოდით, თუმცალა ბოგირებიც ჩანდა ალაზანზე, ანუ სიგრძით გადებული მორები, რომლებზეც გარდიგარდმო დახერხილი ხეები იყო დაკრული, მაგრამ ცხვრისთვის და არა კაცისათვის.

ბექობიდან შეჩერების ნიშანი მოგვცეს. მალე აფეთქების ხმამ გააყრუა ხეობა. შავი ბოლი რომ გაიფანტა, მშენებლებს მაშინღა მივესალმეთ. ისინი უმთავრესად თუშები იყვნენ. საზეიმო განწყობილება ჯერ კიდევ არ განელებოდათ. სიხარულით გვიყვებოდნენ ერთი საათის წინათ როგორ გაეხსნათ მთათუშეთში მიმავალი გზა.

გაგვიკვირდა: ჩვენ ხომ ახმეტაში გაგვაფრთხილეს, ხისოს ჴალამდე მანქანით მოხვალთ, 200-300 მეტრს ფეხით გაივლით და ომალოს მხრიდან მოსულ მანქანაში გადასხდებითო. ეს ის მანქანაა, ზაფხულში რომ თვითმფრინავით ჩაიტანეს მთათუშეთშიო.

მაგრამ იმ დღეს მას პირველად გადმოევლო ხისოს ჴალა.

ზემოთ მბურღავები ისევ აგრიალებდნენ ბურღებს ნაღმების ჩასაწყობად. ნამდვილ გზას იქ, კლდეში, სჭრიდნენ. ქვემოთ დროებითი გზა გაეყვანათ. მდინარის პირას წარაფები გაეკაფათ. ოღრო-ჩოღროები მოესწორებინათ, მდინარეც გამოეყენებინათ. დღეს ორ მშენებელ უბანს—საქსოფლტექნიკისას და მეტრომშენისას — აქ მოეყარა თავი და საზეიმო ვითარებაში ჯერ ბულდოზერები გაეტარებინათ.

მალე სამი მანქანით შევგრიალდით ომალოს აეროდრომზე. ჩვენ წილად გვერგო სიხარული, პირველი მგზავრები ვყოფილიყავით. ნამდვილი გზაც გაიჭრება, ასფალტითაც გაკრიალდება, დიდი დღესასწაულიც გაიმართება, სტუმრებსაც მიიწვევენ, მაგრამ იმ დღის სიხარული და აღტაცება აღარ განმეორდება, როდესაც ბარიდან მთათუშეთში პირველად ავიდა პირველი მანქანები.

ომალოელები აღელვებულები შეგვეგებნენ. გვილოცავდნენ და ვულოცავდით. აქ ვნახეთ რვაწლიანი სკოლის დირექტორი ილო ქავთარიშვილიც თავისი მოსწავლეებით.

მალე ომალოსაც ვეწვიეთ, რომელიც გაცილებით მაღლა იდგა, ლურჯ ცასა და მწვანე იალაღებს შორის, კესელოს ციხეებით დამშვენებული. ირგვლივ ყველაფერი უჩვეულოდ წმინდა და ამაღლებული ჩანდა. მთებს ვერც სიმაღლეს წაართმევს ვინმე და ვერც იმ ღვთიურ ნიჭს, რომ ამაღლებულ გრძნობებს შთააგონებდეს ადამიანებს.

პირველი ომალოელი ქალი, რომელიც შემხვდა, ლამარა მელაიძე იყო, იჭირაულების რძალი. მზედაკრულ სახეს ისევ შერჩენოდა ახალგაზრდული სანდომიანობა. შვილების დედას ათიოდე წლის ბიჭი მოჰყვებოდა. სკოლამდე გამოგვყვნენ. საცაა, ზამთარი მოვა, — შემომჩიოდა მელაიძის ქალი, — და თხუთმეტი ოჯახიღა დავრჩებით ომალოში, მარტო ისინი, ვინც აქ რაზედმე ვმუშაობთ, ზაფხულში კი, არც დაითვლება, იმდენი დამსვენებელი ამოდის ბარიდანო.

სკოლის ჭიშკრებთან ილოს მეუღლე მარიამ სეხნიაიძე დაბარებულივით გველოდებოდა. მარიამიც თუშია. 25 წლის წინათ უნივერსიტეტი დაუმთავრებია და მას შემდეგ ომალოში მასწავლებლობს თავის მეუღლესთან ერთად. ამ თითქმის დაცარიელებულ მთებში გაუტარებიათ უმშვენიერესი დრო კაცის ცხოვრებისა. შეუმჩნევლად გაპარულა ახალგაზრდობა. ცხადად ეს პირველად ამ ორი წლის წინათ დაინახეს, როცა მათმა ვაჟმა ჯუმბერმა მათს გვერდით დაიწყო მასწავლებლობა.

მარიამი მხიარული, გულღია ქალი ჩანს, მაგრამ ადვილად იღრუბლება, როცა საუბარი მთათუშეთის დაცარიელებაზე ჩამოვარდება. ზოგჯერ საუბარში ჩაერევა და იმ დროს გაიხსენებს, 150-მდე ბავშვი რომ ახმაურებდა აქაურობას, ამჟამად კი ჩვიდმეტიღა დარჩენილა.

გზა იმედს აღვივებს მის გულში. მარიამს ისიც შეუტყვია, რომ შარშან მაისში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ „საქსახმშენს“ დაავალა, მთათუშეთის სოფლების აღდგენა-განაშენიანება დააპროექტოს და ეს ისე გააკეთოს, რომ გარეგნულად არ დაირღვეს თუშური არქიტექტურული კოლორიტი. ომალოს ახლო მომავალზეც მოგიყვებით: გარდა საცხოვრებელი სახლებისა, აქ სასტუმროც აიგება, მაღაზიაც, სასადილოც, სასოფლო საბჭოს შენობაც, საავადმყოფოც... წყალგაყვანილობაც დაპროექტებულია და საბაგირო გზაც პროექტდება, რომელიც ომალოს შენაქოსთან დააკავშირებს...

მზე ჩავიდა და მძღოლმა აგვაჩქარა, რადგან ხისოს აქეთ პირველად იყო და შიშობდა, რომ დაუღამდებოდა.

თუმცა მაშინვე მაინც ვერ დავტოვეთ ომალო.

საექიმო პუნქტის კიბეზე ერთი ხანშიშესული ქალი გადმომდგარიყო და გვიღიმოდა. ეს ღიმილი ისეთს სიკეთეს ხატავდა მის თეთრსა და ფეროვან სახეზე, რომ არ შემეძლო, არ მეკითხა, და ვიკითხე კიდეც ვინ არის მეთქი.

თამარ აგურიშვილიაო, გამაცნო მაყვალამ ის ნათელმოსილი ქალი. თუში არ გეგონოთ, ყვარლის რაიონიდან არის, საბუელია, მაგრამ 22 წელიწადია, ომალოში ცხოვრობს და ლამის გათუშდესო.

ფინურ სახლში შევედით, სადაც პუნქტიც არის მოთავსებული და ექთნის ბინაც. ექიმი სადღა არის მეთქი. ვიკითხე და, — ექიმები აქ მხოლოდ ზაფხულში ამოდიანო. მარტო თქვენ ემსახურებით ომალოს-მეთქი? მარტო მეო. და მარტო ომალოს კი არა — დიკლოს, შენაქოს, დართლოს, ქემედაურთას, ხახაბოს და კიდევ სხვასაცაო. ცხენი თუ გყავთ მეთქი და, — ცხენიცა მყავს და მეჯინიბეცაო.

მერე რაო, — შეაშველა მაყვალამ სიტყვა, — ზამთრის თოვლ-ყინვაში, როცა განსაკუთრებით მკაცრია მთა, ცხენი ვერ დადის და ფეხით კეცავს ამოდენა მანძილებს, არც დასვენების დღე აქვს, არც ავდრიანობაში შეღავათი, ყველა ოჯახს ახლოს იცნობს და, თუნდაც არ დაუძახონ, თუ ვისმეს სჭირდება მაგის თავი, თავისით მიაკითხავს ხოლმე, არა მგონია, გზის გაყვანა მაგაზე მეტად ვინმეს უხაროდესო.

თამარმა თუშეთის გზებისა გაცილებით მეტი რამ იცოდა, ვიდრე მოველოდი. იგი იმ დროს შეჰხაროდა, როცა ომალოდან სხვა სოფლებს და მათს საძოვრებს მიადგებოდა ახალი გზები. პარტიის რაიკომის პირველი მდივნისაგან მოესმინა სადღაც, ვაჟა ბატიაშვილისაგან, და კარგადაც დაეხსომებინა: 48 ათასი ჰექტარი ჩინებული საძოვარია მთათუშეთში, სადაც ჩვენს რაიონს 150 ათასი სული ცხვარი ამოჰყავს ზაფხულობით და 12 ათასი — მსხვილფეხა პირუტყვიო; როცა გზები საძოვრებამდე მივა, იმდენ საკვებს დაამზადებენ, რომ ცხვარძროხა ზამთარშიც აქ დარჩება, რაც ხალხს დიდ სარგებლობას მისცემსო. ამ ზაფხულში ხომ ომალომდეც არ იყო გზა ამოსული და ქვემო ალვანს უკვე 89 ათასი მანეთის მოგება მიუღია.

თამარს უფრო ის უხაროდა, რომ რაკი ფერმები მთაში დაიზამთრებენ, მწყემსების ოჯახებიც ბინას აქ დაიდებენო. აღორძინდება მამა-პაპათა ნაფუძრები და ჩამქრალი სოფლებიც გაძლიერდებაო.

ომალოს რომ დავემშვიდობეთ, ბინდ-ბუნდი იდგა, თითქოს ნახევარი ნათელი და ნახევარი ბინდი სივრცეში გაუშვიათო. გზა ოდნავ ირჩეოდა, როცა ხისოს ჴალაში შემოვედით, ხოლო ახაეტის ხორხი ღამისგან გაშავებული ნისლით შეგვეგება. ისიც რომ გადმოვიარეთ, მაყვალას ჩურჩული შემომესმა: კიდევ გნახე, ჩემო კარგოო! უღელტეხილს ემშვიდობებოდა. სიცილით ვუთხარი: სკოლების ინსპექტორი ხარ, ხვალაც შეგიძლია ომალოსკენ ქნა პირი მეთქი. არაფერი მიპასუხა.

თორღვას აბანოსაც ჩავუარეთ, ხიდზეც გამოვგრიალდით. მაგრამ ისეთი გრძნობა მქონდა, რომ თითქოს მანძილი ჩემსა და ომალოს შორის სულაც არ იზრდებოდა. იგი ისე მაღლა ენთო, ისეთი დიდებულებით ბრწყინავდა ჩემს წარმოდგენაში, როგორც მნათობი, რომელიც სადაც უნდა ვიყვნეთ, ყოველი მხრიდან ერთნაირად მშვენიერი გვეჩვენება.

ეთერ სახვაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალისტური შეჯიბრების დროშით

# ნარგიზა ილურიძის ბრიგადა



ფერმაში საქმიანად ფუსფუსებენ თუში ქალები. ისინი ოცდაცხრამეტნი არიან. მათ ცხრა მამაკაცი უდგას გვერდში. სულ ეს არის მეღორეობის ფერმის ბრიგადის ნარგიზა ილურიძის ბრიგადა. ყველგან იდეალური წესრიგია. ან განა შეიძლება ნარგიზა ილურიძეს წესრიგი არ ჰქონდეს, როცა მან დათქვა, მეათე ხუთწლედს ოთხ წელიწადში შევასრულებო.

ყველა საღორე განყოფილება საგულდაგულოდ არის მოვლილი. ეს იმიტომ, რომ ნარგიზა ილურიძის ბრიგადაში შრომის ორგანიზაცია მაღალ დონეზეა. ბრიგადის ყველა წევრი შეგნებულად იბრძვის სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობებისა და ყრილობების შემდგომ ჩატარებული პლენუმების გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებისათვის.

ბრიგადაში მტკიცე შრომითი დისციპლინა და წესრიგი მას შემდეგ დამყარდა, როცა გამოეხმაურნენ რუსთაველ მეტალურგთა ინიციატივას: „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო — ჩვენს გვერდით!“ ეს წარწერა ამშვენებს ფერმის შესასვლელს.

ნარგიზამ და მისი ბრიგადის წევრებმა გამოცდილების გაზიარებისათვის ზემო ალვანის საბჭოთა მეურნეობის მეღორეობის იმ ბრიგადას მიმართეს, რომელსაც თავისი შედეგებით მთელს რესპუბლიკაში სახელგანთქმული ნაზო პეტრიაშვილი ხელმძღვანელობს. ქვემოალვანელებმა მათგან ბევრი რჩევა-დარიგება მიიღეს და სიამოვნებით გაითვალისწინეს მუშაობაში. საინტერესოა, რომ ნაზო პეტრიაშვილის ბრიგადის წევრები ილურიძის ბრიგადას ადგილზეც ეწვივნენ — უშუალოდ სამუშაო უბანზე მიუთითეს ზოგიერთ ხარვეზზე, რომელთა გამოსწორება ბევრ რამეს შესძენდა ახალგაზრდებს. ახლა ისინი ძალზე უმადლიან სახელგანთქმულ ბრიგადაში მომუშავე კოლეგებს და მათს საქვეყნოდ ცნობილ ბრიგადირს, ხოლო თვით ნაზო პეტრიაშვილი ძალზე გახარებულია უმცროსი კოლეგის ნარგიზას ბრიგადის კარგი შედეგებით.

მაინც რით გამოიხატება ნარგიზა ილურიძის ბრიგადის მიღწევები?

თუ მეცხრე ხუთწლედის უკანასკნელ ორ წელიწადში ქვემო ალვანის საბჭოთა მეურნეობამ მეღორეობიდან 166.037 მანეთის მოგება მიიღო, მეათე ხუთწლედის განვლილ ორ წელიწადში 275.825 მანეთის მოგებაა მიღებული. თუ გასული ხუთწლედის ბოლო ორ წელიწადში 4.317 ცენტნერი ხორცი აწარმოეს, მიმდინარე ხუთწლედის ორ წელიწადში ამ მაჩვენებელმა 6.115 ცენტნერს მიაღწია.

ბრიგადაში თანმიმდევრულად ხორციელდება იაფი პროდუქციის მიღების ღონისძიებები. ერთი კილოგრამი წანამატის წარმოებაზე გეგმური 10,8 საკვები ერთეულის ნაცვლად 5,8 საკვები ერთეული იხარჯება.

ახლა მთელი ბრიგადის ყურადღება იქითკენ არის მიმართული, რომ ყველაფერი გააკეთონ მეათე ხუთწლედის დავალების ოთხ წელიწადში შესასრულებლად. ამიტომაც აქ ძალზე ეფექტურად იყენებენ სოციალისტური შეჯიბრების ყველა ფორმას. ცალკეული მეღორეები თანამოსაქმეებს ეჯიბრებიან.

მეათე ხუთწლედში ნარგიზას ბრიგადამ გეგმით 16.120 სული გოჭი უნდა მიიღოს. ფაქტიურად ორწელიწადნახევარში 9.007 ნამატი მიიღეს. კარგ შედეგებს მიაღწიეს ხორცის წარმოებაშიც. 5.060 ცენტნერის ნაცვლად ორწელიწადნახევარში აწარმოეს 6.611 ცენტნერი იაფი ხორცი, რაც იმის გარანტიას იძლევა, რომ უსათუოდ შეასრულებენ სამშობლოსათვის მიცემულ სიტყვას.

ხუთწლედის დამკვრელურ წელს განსაკუთრებით თვალსაჩინო წარმატებებს ელიან. მარტო ნახევარ წელიწადში თითოეულ ქუზზე 9,2 ნამატი მიიღეს. ვარაუდობენ, რომ წლის ბოლომდე გეგმური 14-ის ნაცვლად მიიღებენ და შეინარჩუნებენ 18 გოჭს. ბრიგადის ცალკეულმა წევრებმა ნაზო შაბალაიძემ და სერო წვერაიძემ ეს მაღალი მიჯნა ჯერ კიდევ ივლისის ბოლოს გადალახეს — პირველმა 18,2, ხოლო მეორემ 18,1 ნამატი მიიღო თითოეული ქუზიდან.

ბრიგადაში ჩინებული შრომითი განწყობილებაა. ყველა იბრძვის იმისათვის, რომ ის მიჯნები, რომლებიც დღეს მოწინავეთა კუთვნილებაა, ხვალ ყველამ დაისაკუთროს. ასე აქვთ სისხლსა და ხორცში გამჯდარი თავიანთი მუშური ვალი ქვემოალვანელ მეღორეებს. ისინი სოციალისტურ შეჯიბრებაში იწვევენ ჩვენი რესპუბლიკის მეღორეობის ბრიგადებს, რომელთაც მამაკაცები ხელმძღვანელობენ. მათს ამ ინიციატივას დიდი მხარდაჭერა და გამოხმაურება ხვდა წილად. ამ ინიციატივას მხარს უჭერს და ეხმაურება ყველა, ვისაც კი მეცხოველეობის დარგის აღმავლობა მამულიშვილურ მოვალეობად მიაჩნია...

...ბევრი სტუმარი ჰყავს ნარგიზა ილურიძის მეღორეთა ბრიგადას. მოდიან, რათა ისწავლონ, გაიზიარონ ქვემოალვანელთა დიდი გამოცდილება, ისე იმუშაონ, თავიანთ ფერმებში შრომის ორგანიზაცია ისე მოაწყონ, როგორც ნარგიზა ილურიძის ბრიგადაშია.

**გივი ნაცვლიშვილი,**
ახმეტის რაიგაზეთ „ბახტრიონის“ განყოფილების გამგე.



ლ. მძინარიშვილის ფოტო

# უკრავს რუსუდან გვასალია

რუსუდან გვასალია ეროვნული მუსიკალური კულტურის ერთ-ერთ სიამაყეს წარმოადგენს. სავიოლინო ხელოვნების ამ ნიჭიერმა წარმომადგენელმა, შემოქმედების საინტერესო, მასშტაბური გზა გაიარა და საყოველთაო აღიარება და მოწონება დაიმსახურა.

სამაყოა ისიც, რომ ქართულ სავიოლინო სკოლას განსხვავებული, საინტერესო და სამაყო ტრადიცია აქვს: მარინე იაშვილი, ლიანა ისაკაძე, ნანა იაშვილი... თავისი შინაგანი ტემპერამენტით, ბუნებისაგან მომადლებული ნიჭითა და საოცარი შრომისუნარიანობით რუსუდანი ამ პლეადის საშემსრულებლო სკოლას ეკუთვნის.

ძლიერმა და გამოკვეთილმა პიროვნებამ, საშემსრულებლო კულტურის მაღალი დონე დაუდო საფუძვლად ამ გამარჯვებას.

რუსუდან გვასალია კლასიკურსა თუ საბჭოთა პერიოდის კომპოზიტორების ნაწარმოებებს თავისებურ ფილოსოფიურ ესთეტიკურ პრიზმაში გადმოგვცემს, რითაც საშემსრულებლო ემოციურობით იპყრობს და დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს მსმენელს.

რუსუდან გვასალია თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალურ მუსიკალურ სკოლაში ლ. შიუკაშვილის კლასში აღიზარდა. ჯერ კიდევ 1969 წელს, მეათე კლასის მოსწავლემ ამიერკავკასიის მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსზე დიპლომი და ლაურეატის წოდება დაიმსახურა. ამ სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ რუსუდანი სწავლას თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში (ლ. შიუკაშვილის კლასი) აგრძელებს. აქ იგი სულ მალე იპყრობს ქართველი მუსიკოსებისა და მოძმე რესპუბლიკებიდან ჩამოსულ მაღალკვალიფიციურ მუსიკოსთა ყურადღებას. მონაწილეობს ჩვენი ქვეყნის მრავალ ქალაქში გამართულ კონცერტებზე, სადაც აღიარებენ მის მზარდ ტალანტს, და საუკეთესო საშემსრულებლო მონაცემებს.

მისი ტალანტის და შესაძლებლობის სწრაფვას ეს მიღწევები არ აკმაყოფილებდა. იგი ოცნებობდა მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის კონსერვატორიაზე, სადაც სავიოლინო ხელოვნების მსოფლიოში აღიარებული დიდოსტატი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური პრემიის ლაურეატი აწ განსვენებული დავით ოისტრახი ეგულებოდა. ახდა ოცნება: 1972 წელს რუსუდანი მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის კონსერვატორიაში ცნობილი საბჭოთა მევიოლინის დ. ფ. ოისტრახის კლასში გადადის. ამ მსოფლიოში სახელგანთქმულ კონსერვატორიაში სწავლის პერიოდში მისმა მომადლებულმა ნიჭმა და დიდმა შრომამ საერთაშორისო მიღწევები მოუპოვა რუსუდანს. მან მარგარიტა ლონგისა და ჟაკ ტიბოს (საფრანგეთი) კონკურსზე პირველი პრემია მოიპოვა. ეს ერთგვარი დიდი პროლოგი იყო ჩაიკოვსკის სახელობის კონკურსში მონაწილეობისათვის. სწორედ აქ მოხდა მისი ნიჭის საყოველთაო აღიარება. 1974 წელს, რუსუდან გვასალიას ჩაიკოვსკის სახელობის მუსიკოს-შემსრულებელთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატის წოდება მიანიჭეს.

რუსუდან გვასალია 1977 წელს ამთავრებს მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიას. სახელმწიფო საგამოცდო კომისიის წინაშე მის მიერ შესრულებულმა სადიპლომო ნაწარმოებებმა ისეთი წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ მან წარჩინების დიპლომი მიიღო და ერთხმად აღძრეს შუამდგომლობა მოსკოვის კონსერვატორიის საბჭოს წინაშე, რათა რუსუდან გვასალია ასპირანტურაში ჩაერიცხათ. დღეს იგი მეორე კურსზეა და სწავლობს დ. ოისტრახის მოწაფის, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატის, პროფესორ ე. კლიმოვის კლასით.

ამასთან ერთად, რუსუდანს „მოსკონცერტისა“ და „გოსკონცერტის“ ხაზით სისტემატურად იწვევენ კონცერტების ჩასატარებლად როგორც საბჭოთა კავშირის დედაქალაქ მოსკოვში, ისე მოძმე რესპუბლიკების დედაქალაქებსა და საზღვარგარეთ. ამას წინათ იგი ესტუმრა ლიტვას, ლატვიას, ესტონეთს, ჩეხოსლოვაკიას, პოლონეთს, რუმინეთს, გდრს, უკრაინას, მოლდავეთს, სადაც გამართა სოლო კონცერტები, უკრავდა აგრეთვე სიმფონიურ ორკესტრთან ერთად.

კიდევ ერთი საყოველთაო აღიარება მოუტანა მას ჩაიკოვსკის, ბეთჰოვენის, ბრამსის, მენდელსონის, პროკოფიევის, ხაჩატურიანის სავიოლინო კონცერტების ვირტუოზულ-არტისტულმა შესრულებამ (სიმფონიურ ორკესტრთან ერთად).

რ. გვასალია საინტერესო ინტერპრეტაციითა და კოლორიტით ასრულებს კომპოზიტორების — სენ-სანსის, სარარატეს, იზაის, შიმანოვსკის, მესიანის, დებიუსის, რაველისა და შოსტაკოვიჩის რთულ ნაწარმოებებს.

დიდი გატაცებით და სიყვარულით, თავისებური მეტყველი ინტონაციებით ასრულებს ხელოვანი სახელოვანი ქართველი კომპოზიტორების — ო. თაქთაქიშვილის, ს. ცინცაძის, ა. შავერზაშვილის, ა. მაჭავარიანის და სხვათა სავიოლინო ნაწარმოებებს. უსათუოდ უნდა ითქვას, რომ რუსუდან გვასალია დღითიდღე იზრდება, ვაჟკაცდება და მასშტაბური ხდება, როგორც .დიდოსტატი მევიოლინე.

სიამაყით მაგონდება მისი შემოქმედებითი ცხოვრებიდან ერთი საინტერესო მომენტი: მოსკოვში ყოფნისას, ერთი ხატოვანი აფიშა იუწყებოდა, რომ ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში საერთაშორისო კონკურსების ლაურეატის რუსუდან გვასალიას კონცერტი გაიმართებაო. კონცერტზე შესრულებული იყო რთული და მხატვრული ღირსებებით ერთიმეორესაგან განსხვავებული ნაწარმოებები. პირველ განყოფილებაში შესრულდა ტარტინის სონატა „ეშმაკის ტრელი“. ეს ნაწარმოები მეტად რთული და საინტერესოა. იგი მოითხოვს დახვეწილ ტექნიკას, შესრულების არტისტულობას, ტემპერამენტს, დიდ პროფესიონალიზმს. სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ ამასთან ერთად, რუსუდანის ვიოლინო საოცრად დამაჯერებლად ჟღერდა. ინტონაციის სისუფთავე, მომხიბვლელობა, ემოციურობა, სწორი ინტერპრეტაცია მისი დამახასიათებელი იყო.

სტილის სწორი გაგება, ღრმად გამომსახველი მელოდიური ხაზი, მკაცრი უბრალოება, ნიუანსირება და მდიდარი მღერადობა, შტრიხისა და ფრაზის სინატიფე გვიჩვენა რუსუდანმა ბახის მეორე სონატაში.

მეორე განყოფილება შეიცავდა ფრიად საინტერესო პროგრამას: ფრანგი კომპოზიტორების: შოსონის „პოემას“, დებიუსის „ფარაონის სალამოს დასვენებას“ და „ბოშურ რაფსოდიას“, ბელგიელი იზაის 6 სონატას. რუსუდან გვასალიამ ოსტატურად გადმოგვცა დებიუსის მუსიკალური ბგერების ფერწერა, იგრძნობოდა პოეტური დახვეწილობა, მდიდარი ჰარმონია და კოლორიტი, ბგერების მკვეთრი გამოხატულება. მსმენელმა დიდხანს არ გაუშვა რუსუდანი სცენიდან. კონცერტის წარმატებას დიდად შეუწყო ხელი ნიჭიერმა და გამოცდილმა კონცერტმეისტერმა ი. კოლეგორსკაიამ, რომელმაც რ. გვასალიასთან ერთად საუცხოო ანსამბლი შექმნა.

კონცერტის დამთავრების შემდეგ დარბაზში მყოფნი დიდხანს უკრავდნენ ტაშს ქართველ მევიოლინეს საუკეთესო შესრულებისათვის, ღვთით მომადლებული ნიჭისათვის.

ლიანა როსებაშვილი

ეთერ სამხარაძე-ჯლამაძე

## ჰოი, ლექსებო, მერცხლებო!

ჰოი, ლექსებო, მერცხლებო
ლაჟვარდს საკინძე გახსნია,
ლურჯი ცისკარი თვალს ახელს...
ფრთები საფრენად გაშლია
ლამაზ ფიქრს, ლექსად გასამხელს...
მზე თქვენით ამიფერადდა,
და რაკი ღმერთად გიწამეთ,
სულს მოევლინეთ ლხენად და
ნედლი ფოთლების სიმწვანედ...
ჰოი, ლექსებო, მერცხლებო,
ჰგავხართ სიყვარულს პირვანდელს,
ფერი დღეს როგორ ეცვლება
რითმებით ნაქსოვ პირბადეს...
და თუ უთქვენოდ მეც ვერ ვძლებ,
ვარ სხივთა თქვენთა მხმობელი,
და, როგორც კალმახს მეთევზე,
გიხმობთ, გიცდით და მოგელით...
მოდით, მოზღვავდით ზვირთებად,
ხან მზედ, ხან ფიფქად, ხან ნისლად...
რა იქნებოდა უთქვენოდ
სიცოცხლე ლექსის ქალისა?..
მე სხვა საუნჯე არც მინდა,
ოღონდ ფრთებს ლაჟვარდს ახლიდეთ
და ჩემი ფიქრის სარკმლიდან
შიგ ხალხის გულში ჩაფრინდეთ...

## ციცინათელა

ხან მინდვრის ზღვაში დასცურავ
მაგ მოციმციმე თვალებით,
ხან შუქს მომაფრქვევ მაცდურად
და ბუჩქებს მიეფარები...

ხან თმაზე მელაციცები
და ფრთებს ნაზ მხრებზე მატოლებ,
ჩუმად ვშფოთავ და ვიწვები,
გულში იმდენ ცეცხლს მიტოვებ...

ხან ისეთ სურვილს ამინთებ
მაგ ჯადოსნური სანთლებით,
დილით მზეს მზერას ვარიდებ
შენს ფრთებზე ღამენათევი...

ისე აღვივებ ნაპერწკალს
და მაგ სათუთ ფრთებს ისე შლი,
თითქოს ასანთი გაგეკრას
ამ ჩემი სულის სიღრმეში...

და გიცქერ გულის ფანცქალით,
ასე უცხოს და საკვირველს...
ამიბრიალე ხანძარი,
ახლა გაფრენას აპირებ?

ნუ შლი ფრთებს, ნაზად დაკეცილს,
ვერსით გაგიშვებ იცოდე,
დე, მაგ წამიერ ნაპერწკლით
მთელი სიცოცხლე ვიწვოდე...

გიორგი მეტრეველი

## ფეხბურთელი

დავამარცხეთ გიას გუნდი
გავიტანე ოთხი ბურთი,
თვითონ გიამ თავის კარში
გაიტანა ექვსი გოლი
და დამთავრდა შეჯიბრება
ანგარიშით: ათით ნოლი!

## ზურა და პაპა

შეუსრულდა გუშინ ზურას
ზუსტად ექვსი წელი,
და ასი წლის გიგა პაპამ
ჩამოართვა ხელი,
უთხრა: კიდევ დაუმატე
ზურა ასი წელი,
მერე კიდევ მოგილოცავ
თუკი შევიძელი!..

## უნდა გადავუხადო

— სად მიდიხარ კახა ბიჭო?
— გიას უნდა დავეჭიდო,
გუშინ დილით ბეჭით დამდო,
ახლა უნდა გადვუხადო!

(რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ავლაბრის არალეგალური სტამბა 75 წლისაა)

# სინამდვილე ლეგენდად იქცა

იგი დღეს 75 წლისაა და, როგორც დიდებული ნიმუში რევოლუციური ნიჭისა და გამჭრიახობისა, კვლავაც წარმოადგენს გაკვეთილს იმ ხალხებისათვის, ვინც ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულან იმპერიალიზმის მონობისაგან.

„... ავლაბრის არალეგალური სტამბის გამოცდილება შესანიშნავი გაკვეთილია ჩვენს დროში თავისუფლების ყველა მებრძოლისათვის და უპირველესად ლათინური ამერიკისათვის. ბოლივიელი მწერალი მიესალმება სტამბის გმირებს და გმირულ საბჭოთა კავშირს“ — აღნიშნავდა ხესს დე ლარა, ხოლო მსოფლიოში სახელმოხვეჭილმა თურქმა კომუნისტმა მწერალმა ნაზიმ ჰიქმეთმა ასეთი სტრიქონები უძღვნა მას: „ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ჩვენ უდიდესი ოსტატების გამოცდილებიდან ვიღებდით მაგალითს და კვლავაც ავიღებთ“.

მუზეუმის საპატიო და ძვირფასი სტუმრები იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ყოფილი თავმჯდომარეები მ. ი. კალინინი და კ. ე. ვოროშილოვი, ავიაციის მთავარი მარშალი პ. ჟიგარევი, საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი ი. პაპანინი, ცნობილი ნოვატორი, სოციალისტური შრომის გმირი ა. სტახანოვი, ბელორუსიის სახალხო პოეტი, აკადემიკოსი ი. კუპალა, დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის ძმისწული ო. ულიანოვა და სხვები. იგი სხვადასხვა დროს ინახულეს მსოფლიოს ცნობილმა, საამაყო ადამიანებმა, კომუნისტური და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილმა მოღვაწეებმა, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გიორგი დიმიტროვმა, ესპანეთის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ დოლორეს იბარურმა, კანადის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ ტიმ ბაკმა, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა მორის ტორეზმა, ესპანეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ხოსე დიასმა, უნგრეთის, ინდოეთისა და ჰოლანდიის კომუნისტური პარტიების გენერალურმა მდივნებმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ოტო გროტევოლმა, კარლ მარქსის შვილთაშვილმა რობენ ჟან ლონგემ, ინდოეთის გამოჩენილმა სახელმწიფო მოღვაწემ, ყოფილმა პრემიერ მინისტრმა ინდირა განდიმ და სხვებმა.

რევოლუციამდე სტამბა პარტიის უნიკალური პოლიგრაფიული ბაზა იყო და დიდ როლს ასრულებდა მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეების გავრცელებაში. შემდეგ მემორიალურ მუზეუმად იქცა და ამავე იდეების პროპაგანდას ეწევა, როგორც კომუნიზმის მშენებელი ახალი ადამიანის კომუნისტური და ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდის დიდი იდეოლოგიური დაწესებულება.

აქ ხშირად ეწყობა შეხვედრები ძველ ბოლშევიკებთან, ვეტერან კომკავშირელებთან, სამოქალაქო და სამამულო ომის მონაწილეებთან, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეებთან, მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის წარმომადგენლებთან. აქვე ხდება მოსწავლეთა საზეიმო მიღება ოქტომბრელთა რიგებში, ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციასა და ლენინური კომკავშირის რიგებში, ეწყობა პიონერული შეკრებები და დილები, მეგობრობისა და ინტერნაციონალური საღამოები, თემატიკური კონფერენციები და კითხვა-პასუხის საღამოები, ზეპირი ჟურნალები.

შარშან მარტში მისი მეოთხმილიონე დამთვალიერებელი გახლდათ ძველი ბოლშევიკი, 1921 წლიდან სკპ წევრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიური ფაკულტეტის ბიბლიოთეკის გამგე თამარ ჩიტიშვილი, რომელიც ბავშვობისას, სამი-ოთხი წლისა ამ ეზოს ხშირი სტუმარი იყო, როგორც სტამბის „დიასახლისის" ბაბე ბოჭორიძის შვილიშვილი. ეს პატარა გოგონა ხან დედას, ცნობილ რევოლუციონერს მარიამ ბოჭორიძე-ჩიტიშვილს მოჰყავდა, ხან კიდევ ბიძას — რევოლუციონერ მიხო ბოჭორიძეს.

სწორედ მიხო ბოჭორიძე იყო ამ სტამბის დამაარსებელი.

ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე, დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის მითითებით რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა, რომლის შემადგენლობაში სხვადასხვა დროს შედიოდნენ ი. სტალინი, მ. ცხაკაია, ა. წულუკიძე, ს. შაუმიანი, ფ. მახარაძე, პ. ჯაფარიძე, მ. ბოჭორიძე, ვ. ბობროვსკი, მ. დავითაშვილი, ბ. კნუნიანცი, დ. პოსტოლოვსკი, ნ. ალაჯალოვა, გადაწყვიტა ფართოდ გამოეცა რევოლუციური ლიტერატურა და დაადგინა აეშენებინა არალეგალური სტამბა.

განსაკუთრებული როლი შეასრულა სტამბამ 1905 წლის რევოლუციის აღმავლობის პერიოდში. მარტო 1905 წლის იანვრიდან ნოემბრამდე აქ დაიბეჭდა 274.315 ეგზემპლარი პროკლამაცია, გაზეთი და ბროშურა.

ახალდაბეჭდილი ლიტერატურა სისტემატურად ეგზავნებოდა ვ. ი. ლენინს და საზღვარგარეთის ბოლშევიკურ ცენტრს.

მეფის ოხრანკა დიდხანს დაეძებდა სტამბის ადგილსამყოფელს. 1906 წლის 15 აპრილს მას მიაგნეს და გაანადგურეს.

კომუნისტურმა პარტიამ ჯეროვნად დააფასა სტამბის დამსახურება თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში და გადაწყვიტა ამ ბრწყინვალე რევოლუციური ძეგლის აღდგენა. 1935 წლის 16 ნოემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება მისი აღდგენის შესახებ. 1936 წელს სტამბა რესტავრირებულ იქნა თავდაპირველი სახით, ხოლო 1937 წლის 2 აგვისტოს სტამბა-მუზეუმმა ფართოდ გაუღო კარი დამთვალიერებლებს.

**დ. მესხი,**
ავლაბრის არალეგალური სტამბა-მუზეუმის გამგე.





მხატ. ლ. ჭანელიძე

გუგული ტოგონიძე

# შადრევნის ქალი

ცირკის შენობას ველური ხეებითა და აუზით დამშვენებული ბაღი ერტყა. აუზის შუაგულში ქალის ქანდაკება იდგა.

ცირკში ერთი ახირებული კაცი მუშაობდა. ამასთან წესრიგის საოცრად მოყვარული იყო; პატიოსანი და სამაგალითო კაცის სახელი ჰქონდა. ახირების გამო არავინ კიცხავდა, თუმცა, ესეც იმის გამო მოსდიოდა, რომ ფიქრობდა, რადგან სამაგალითოდ მთვლიან, ჩემი ნათქვამი აუცილებლად უნდა ირწმუნონ და ჭეშმარიტად ჩათვალონო.

ეს კაცი ხანდახან ლექსებსაც წერდა. ერთხელ, ბაღში რომ შევიდა, ანაზდად მუზა ესტუმრა. მუზებთან საუბარს შეყოლილი და სახელიმილიანი აუზში მოლივლივე წყალს ჩაშტერებოდა.

— რა, შენთვის გეღიმება? — შეეხმიანა ბაღში შემოსული ამხანაგი.

— მეღიმება? — გამოერკვა უცებ, და ისე სხვათაშორის თქვა: — ჰო-ო, შადრევნის ქალმა გამიღიმა და მეც გავუღიმე.

— იიჰ, ხუმრობის გუნებაზე დამდგარხარ!

— მართალს გეუბნები! დაიყინა.

ახირებული რომ იყო, იცოდნენ. ამიტომ ამხანაგმა პასუხი არ გასცა, ერთი კი შემოხედა და თავის გზას გაუყვა.

— ჰმ! — ჩაილაპარაკა უკმაყოფილოდ კაცმა და ქანდაკებას შეაშტერდა.

— არა, მართლა რომ გაიღიმოს შადრევნის ქალმა, ჰა? — გაიფიქრა და აუზს ღიმილით მიუახლოვდა. ძეწნის თავდახრილი ჩრდილები წყლის ზედაპირზე ფართქალებდნენ და გუნებაავარდისფერებული კაცი ზმანების ბურანში გაახვიეს. ერთბაშად, მოულოდნელი საოცრების ახდენის სურვილი ალივით აუვარდა, მისი არსებობა აუცილებლად და დამაჯერებლად ექცა.

კაცმა ქანდაკებას ისე გაუღიმა, როგორც საყვარელ ქალს უღიმიან ხოლმე... და მოხდა საოცრება — შადრევნის ქალმა გაიღიმა.

— ხომ ვთქვი!.. — ჩაილაპარაკა თავისთვის კმაყოფილმა კაცმა.

სულაც არ გაკვირვებია, შადრევნის ქალი რომ შეირხა და თევზზე ჩამომჯდარმა გამოსცურა. მხოლოდ ის გაუკვირდა, ამოდენა თევზზე როდის იჯდაო. მერე იფიქრა, მომეჩვენაო და წყალში კენჭი ისროლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეი! — დაუძახა ქალმა, — მაცალე...

კაცი ჯერ კიდევ იმის ფიქრში იყო, ამსიდიდე თევზი საიდანაო, რომ შადრევნის ქალი აუზის კიდესთან მოცურდა. ახლა თევზზე კი არა, ფოთოლზე ჩამომჯდარიყო და იღიმებოდა.

— აი, მეც მოვედი! აიქნია ხელი და წყალი ააჭყაპუნა. ცივი წინწკლები კაცს სახეზე შეასხდნენ და გრილი თითებით შუბლი გაუგრილეს.

— რატომ თამაშობ!

— ვმოძრაობ! — გაიცინა ქალმა და შეირხა. ისევ აჭყაპუნდა წყალი...

„რა ცუღლუტი ვინმეა!“ — გაიფიქრა კაცმა და წარბაზიდულმა ჰკითხა:

— ძვირფასო, ხომ არ დაგავიწყდა, ამჟამად რა არის ყველაზე მთავარი?

— ის, რომ, ბოლოსდაბოლოს, ავმოძრავდი.

— არა. ეგ კი არა, მთავარია, — რასაც გეტყვი, ირწმუნო და ისე მოიქცე.

ქალმა გადაიკისკისა და წყალში თევზივით აფართქალდა. შხეფები ახლა ტანზე შეასხურა კაცს: „სულ ახლახანს გავიცანი და უკვე გამწუწა“, — ისევ აზიდა წარბი, ღრმად ჩაისუნთქა და ავტორიტეტულად თქვა:

— საერთოდ, იცი რა არის ყველაზე მთავარი?

— ღიმილი!

— ცდები, — წესრიგი! უნდა იცოდე, როგორ მოიქცე...

— ო, ეგ ვიცი. — გაიღიმა ქალმა, — როცა ყველა კმაყოფილია, ხომ?! მაგალითად, — მებაღე იღიმება, — როცა ყვავილები კარგად არიან მოვლილნი. ადამიანებს ყვავილების დანახვაზე სიამოვნების ღიმილი მოერევათ ხოლმე.

გაგანია სიცხეში აუზთან ბავშვები მიირბენენ, წყალში თითებს ააჭყლაპუნებენ, შემომხედავენ და რაღაც განსხვავებულის ხილვით გაიღიმებენ... ე. ი. ღიმილი წესრიგია. უფრო კარგად რომ ვთქვათ, წესრიგი ის არის, როცა ყველა კმაყოფილია.

— ცდები. ღიმილი ყოველთვის არ გამოხატავს კმაყოფილებას. მაგალითად...

უცებ კაცმა საათზე დაიხედა: კოლეგები მელოდებიან:

— ხვალ მოვალ, ხვალ და, საუბარი გავაგრძელოთ! — წამოიძახა და სწრაფად შეტრიალდა.

— მიდიხარ? — გულისწყვეტით დაადევნა ქალმა.

მეორე დღეს კაცი თავის დროზე მოვიდა აუზთან. შადრევნის ქალი თავის ადგილზე რომ ვერ დაინახა, ისე გაიოცა, რომ მის მოსაძებნად წყალში კინაღამ გატოპა. მაგრამ გაახსენდა ცირკის არენაზე რომ უნდა გამოსულიყო და სველი ტანსაცმლით მაყურებლის წინაშე ხომ ვერ წარსდგებოდა.

— მოხვედი?! — შემოესმა ალერსიანი ხმა, — აუზის გაღმა გადავედი!

— ჰაა?!

— ჰო, სიარული მინდა ვისწავლო! — შადრევნის ქალს თვალებში ჭიაკოკონა აუბრიალდა.

— ეგ როგორ? თქვენ ხომ აუზის ბინადარი ხართ და აუზს არ უნდა გასცილდეთ?

— გიცადე, გიცადე, დაიგვიანე და შევწუხდი.

— მე თავის დროზე მოვედი, აკი ვთქვი, ხვალ მოვალ-მეთქი.

— „არ ვიცი, რა არის ეს „ხვალ“. ისე მომენატრე, რომ აუზიდან გადმოვედი, ფეხშიშველა. მიწას შევეხე თუ არა, ტკივილი ვიგრძენი. ხვინჭამ კანი გამიკაწრა და სისხლმაც იწვეთა. მაინც წავიწიე წინ. შევამჩნიე, რომ ჩემს ნაფეხურზე ყვავილი ამოვიდა“.

კაცი გუმანითაც ვერ მიხვდა ქალის ნაფიქრალს. ჰაერში ხელჯოხი დაატრიალა და ახირებული ადამიანის სიჯიუტით თქვა:

— წყლის ქალი, რა წყლისა იქნება, თუ მიწაზე გაივლის? დაუჯერებელია!

კაცმა კარგახანს ვეღარ მოიცალა ბაღში შემოსასვლელად. შადრევნის ქალი სევდიანად გაჰყურებდა გზას. ღამით, ყველა რომ მიიძინებდა, წყლიდან გამოდიოდა და ბილიკზე დაღვრილ მთვარის შუქზე ნაბიჯებს ადგამდა... მიწიდან წითელი, წითელი ყვავილები იწვერებოდნენ.

ტკივილი დაჭრილი ჩიტივით ათახთახებდა ბილიკზე ფეხადგმულ ქალს.

— მიწაზე გავიარე! განუცხადა ერთხელ კაცს და ტბისფერ თვალებში მზე ჩაუდგა.

— ვითომ?!

— როგორ არა, შეხედე, ეს ყვავილები ჩემს ნაფეხურებზე ამოვიდა...

— „ყვავილებიო“, ჯერ ყასიდად ნათქვამი ეგონა, მერე, რომ მიმოიხედა, მართლაც დაინახა. კაცი ახირებული იყო, თორემ აქამდე როგორ ვერ შეამჩნევდა უცხო ყვავილებს. ის კი არადა, არც დაიჯერა ნათქვამი. იფიქრა, ყვავილები ალბათ ადრეც იყვნენ ამოსულებიო და შადრევნის ქალს სიტყვა ბანზე აუგდო.

— გეყოფათ ხუმრობა! — უთხრა შემცბარს და კეწკეწა ფრაკსა და ქათქათა ხელთათმანებზე დაიხედა, — დღეს პრემიერაა, ჯენტლმენის როლი უნდა ვითამაშო.

— წამიყვან? — ყრუდ ჩაეკითხა ქალი.

— შენი წყლიდან გამოსვლა და ხალხში ფეხშიშველა გამოჩენა წესის დარღვევა იქნება. რაც მთავარია, სიარულიც არ იცი.

— ვისწავლე-მეთქი! იმდენი ყვავილები ამოვიდა, რომ ბილიკი წაიშალა.

— როგორ შეიძლება სასიარულო ბილიკის გადაშლა?

შადრევნის ქალს ტუჩზე ღიმილი შეაცივდა.

— ნეტა არასოდეს მოგეხმე, — დაუსხლტა ნაფიქრი.

— მე მოგიხმე? ისე, ჩემთვის ვფიქრობდი და ვიღიმებოდი.

— ის ღიმილი შემომაფრინდა და გავცოცხლდი, ავმოძრავდი. ნაფეხურებზე ყვავილებს რომ ვხედავდი, ჯერ მეღიმებოდა, მერე ბაღში შემომსვლელებისაგან ბევრჯერ რომ გავიგონე: „საოცარია, ამ წითელ ყვავილებს შევხედავთ თუ არა, სევდა გვიქრებაო“, თავი ბედნიერად ვიგრძენი და ნაბიჯებს ვუმატე... შემომხედე, აი, ახლავე გავივლი.

„მართლა რომ გაიაროს, ხომ გავწბილდები?“ — გაიფიქრა უცებ კაცმა და ის-ის იყო, შადრევნის ქალი დაიძრა, რომ შეაჩერა:

— როგორ გეკადრებათ, წესიერად გაზრდილი, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე ფეხშიშველა არ გაივლის.

ანაზდად, კაცს ცნობისწადილმა წამოუარა და უნებლიედ დაუსხლტა:

— აბა, გაიარე... თუმცა დარწმუნებული ვარ, ნაბიჯსაც ვერ გადადგამ.

„ნაბიჯსაც ვერ გადადგამ, ვერ გადადგამ!“ — ზარის რეკვასავით ჩაესმა ქალს და შეაკრთო.

— ვაითუ, მაინცდამაინც ახლა ვერ გავიარო?“ — გაიფიქრა და ამ განაფიქრმა დააფრთხო.

— რას გაჩერებულხარ, გიცდი!

„ვერ გაივლი, ვერ გაივლი!“ — უწიოდა კვლავ ყურებში.

ზვიადი სიჩუმე ჩამოწვა. ფოთოლგაცვენილ ხესავით გახევდა ქალი, მილურსმულივით დააკვდა ერთ ადგილს.

— აი, ხომ გითხარი! — ჩაიცინა კაცმა.

ამ დროს აუზთან მანდილოსანმა ჩამოიარა.

— აა, თქვენ ხართ? — გაუღიმა კაცმა და შლაპის მოსახდელად შეირხა.

ხელთათმანიანი ხელი ქუდზე აუსხლტა... უცებ ქარმაც წამოუბერა, კაცს ფრაკი შემოაგლიჯა და ქუდთან ერთად ფრიალ-ფრიალით სადღაც გაიტაცა.

ირგვლივ მტვრის კორიანტელი დადგა, ისეთი, რომ ყველაფერი ჩამოაბნელა.

ქარი, როგორც უცაბედად ამოვარდა, ისევე უცბად ჩადგა.

კაცმა თვალი რომ გაახილა, გაოცდა: აღარსად იყო წითელი, წითელი ყვავილები. აღარსად ჩანდა ტბისფერთვალება ქალი.

აუზის შუაგულში უსიცოცხლო ქანდაკება იდგა. თმასა და მხრებზე წყალი ჩამოსდიოდა... პირისახეზე ღიმილის ნასახიც არ ეტყობოდა.

ახირებული კაცი მიდიოდა და მიდიოდა აუზთან...

აღარა და აღარ უღიმოდა შადრევნის ქალი...

# ვეჯინის პანსი-ონატი



პანსიონატის დირექტორი ვლადიმერ ზავრაშვილი

შალვა მჭედლიშვილი იღებს ავადმყოფებს.



პანსიონატის ვესტიბული







ამ ტიპის პანსიონატი ერთადერთი და პირველთაგანია რესპუბლიკაში.

ეზოდან ხელისგულივით მოჩანს ვენახებითა და ხეხილის ბაღებით დასერილი ალაზნის ბარაქიანი, თვალუწვდენელი ველი, მარადთოვლიანი გიგანტი — თავს კავკასიონი რომ დასდგომია. თვალსაწიერზე ამ დიდებული გარემოს ვერცხლის სარტყელი — ალაზანი მიიკლაკნება. პანსიონატში ისვენებენ ნაჯაფი ადამიანები, სამამულო ომის ვეტერანები, პენსიონერები, შრომის ინვალიდები. ამიტომ არის იგი ერთადერთი და პირველთაგანი.

მოხერხებულმა მდებარეობამ, ხელსაყრელმა კლიმატურმა პირობებმა განსაზღვრა პანსიონატის ვეჯინში აშენება. აქ ერთდროულად სანატორიუმის ყველა სიკეთით სარგებლობს, მკურნალობს და ისვენებს 170 კაცი.

ბარაქიანი მოსავლით გულგახარებულნი, დასასვენებლად მოდიან საქართველოს ყოველი კუთხიდან... როცა მშენებლობის საკითხი საქართველოს სოცუზრუნველყოფის სამინისტროში გადაწყდა და ეს საქმე მინისტრის მოადგილემ ელენე ჩოფიკაშვილმა ითავა, იგი ჩვეული ენერგიითა და ენთუზიაზმით შეუდგა პანსიონატის მშენებლობას. ამჟამინდელი პანსიონატი მაშინ მოხუცთა თავშესაფარად იყო გათვალისწინებული, პარტიის გურჯაანის რაიონულმა კომიტეტმა კი პანსიონატის პროფილის შეცვლა მოითხოვა და რაიკომის პირველი მდივნის შოთა ეცადაშვილის უშუალო ინიციატივით პანსიონატი ახალი ინვენტარით, თანამედროვე მოდური ავეჯით, უმაღლესი დონის სამკურნალო აპარატურით მოეწყო.

დერეფნებში სისუფთავე, სიწყნარე სუფევს. ყველგან ყვავილებისა და დეკორაციული მცენარეების ჯარია — ვესტიბულშიც, კიბეებზეც, სასადილოშიც...

პანსიონატის დირექტორი ვლადიმერ ზავრაშვილი თავაზიანად, მოწიწებით, კახელი კაცის სიდარბაისლით ესაუბრება, ხვდება და ისტუმრებს თითოეულ დამსვენებელს. პანსიონატის შენობას ირგვლივ ცხრა ჰექტარი ტრიალი ადგილი აკრავს. დირექტორს გადაწყვეტილი აქვს მისი განაშენიანება. უმოკლეს დროში გურჯაანის ყველა კოლმეურნეობა ათ-ათ სანაყოფე ხეს დარგავს პანსიონატის შემოგარენში. საბოლოოდ პანსიონატი უღრანი ტყის შუაგულში აღმოჩნდება.

შვიდი კვალიფიციური ექიმი ემსახურება დამსვენებელთა ჯანმრთელობის კერას. განსაკუთრებით უყვართ და პატივს სცემენ ექიმ-თერაპევტს შალვა მჭედლიშვილს, რომელიც თავის ცოდნასა და გამოცდილებას არ იშურებს ავადმყოფების გამოსაჯანმრთელებლად. პატივცემული შალვა მათ უნიშნავს ფიზიოთერაპიას, სამკურნალო ფიზკულტურას, ტალახის პროცედურებს. აქვე მკურნალობენ საყრდენ-მამოძრავებელ დაავადებებს — იშიაზს, რადიკულიტს, სამწვერა ნერვის ანთებებს, ართროზებს... პანსიონატის ყოველ სართულზე სამანიპულაციო ოთახებია, ფიზიო, მასაჟის, სამკურნალო ფიზკულტურის, ტალახის პროცედურების, სტომატოლოგიური კაბინეტები.

დამსვენებლებმა ერთი გულისტკივილიც გაგვანდეს: კარგი იქნება ახტალაში კი არ დავდიოდეთ აბაზენების მისაღებად, არამედ ტალახი სპეციალურად მოწყობილ სააბაზანოში მოიტანონ, ისე, როგორც ჟელეზნოვოდსკში, კისლოვოდსკსა და ესენტუკში მოაქვთ თვრამეტი კილომეტრით მოშორებულ ტამბუკანის ტბიდანო.

დამსვენებელთა განკარგულებაშია კეთილმოწყობილი სასადილო დიეტური დარბაზით, კლუბი, წყნარი სათამაშოების ოთახები, ჩინებული კომფორტული 2-3-საწოლიანი საძილე-დასასვენებელი ოთახები.

პირველი დამსვენებლები ვეჯინის პანსიონატში შარშან ოქტომბერში მოვიდნენ.

გადავაქციოთ ვეჯინი საუკეთესო კურორტად! — აი თითოეული მომსახურე პერსონალის, თითოეული გურჯაანელის დევიზი და მოწოდება.

ნანული გუკია

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციოლოგის საუბარი

# და-ძმა

ოჯახი მცირე, მაგრამ რთული სოციალური უჯრედია. მის სრულყოფაზე დიდად არის დამოკიდებული საზოგადოების სიჯანსაღე. ოჯახი თავისებური ასახვაა იმ საზოგადოების ყოფისა და სოციალური ურთიერთობებისა, რომელშიც მას არსებობა უხდება. ენგელსი შემთხვევით როდი აღნიშნავდა, რომ „როგორიც არის საზოგადოება, ისეთივეა ოჯახი“.

საბჭოთა სახელმწიფო დიდ მოთხოვნებს უყენებს ოჯახს, რამდენადაც აქ იწყება საზოგადოების მომავალი წევრის ჩამოყალიბება. ოჯახში იღებს და განიმტკიცებს ახალგაზრდა ბევრ კარგ და ცუდ თვისებას: აქედან მიჰყვება მას მშობლის სიყვარული, პატრიოტიზმი, უსამართლობისადმი შეურიგებლობა და პატიოსნებისათვის თავდადება, სიყვარული მოყვასისა და საქმის ერთგულება; ხშირად აქვე უყალიბდება მას ეგოისტური გრძნობები — უჩნდება მისწრაფება უფროსობისაკენ, სხვისი დამორჩილებისაკენ, მბრძანებლობისაკენ. ეს ის თვისებებია, რომელთა საზოგადოებაში გამოვლენის ფორმები უკიდურესად უარმყოფელი გავლენისაა და სერიოზულ ბრძოლას მოითხოვს.

ოჯახი არ არის მხოლოდ ცოლისა და ქმრის ურთიერთობა. აქ თავს იჩენს თაობათა დამოკიდებულება — ასაკის, შეხედულებებისა და მოთხოვნილებების მიხედვით. ამ მხრივ ქართული ოჯახი შეიძლება ერთ-ერთ ტრადიციულ ოჯახად ჩაითვალოს, სადაც ბავშვები, უფროსების მაგალითით, მცირე ასაკიდანვე ესისხლხორცებოდნენ არა მარტო მშობლებისა და ბებია-ბაბუათა პატივისცემას, არამედ ერთმანეთისადმი სიყვარულსა და მზრუნველობასაც. უთუოდ ასეთი დამოკიდებულებაც უნდა ყოფილიყო მიზეზი იმისა, რომ საქართველოში ე. წ. „დიდი ოჯახი“ ჩვეულებრივი მოვლენა იყო, რაც ბუნებრივია ეფუძნებოდა დედმამიშვილების ურთიერთ დიდ სიყვარულსა და ნათესაურ ერთგულებას.

ისტორიულად ცნობილია, თუ რა ჰუმანური და ამაღლებული იყო მეფე ვახტანგ VI შვილების, ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილებისა და სხვათა ურთიერთდამოკიდებულება, ასევე ურთიერთობა აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველასი თავიანთ და-ძმებთან.

მირზა გელოვანის წერილებიც ამის საუკეთესო დასტურია. აი, რამდენიმე ამონაწერი დებისადმი მიწერილი ბარათებიდან: „კეთილო დებო, ჩემს სიმკაცრეს და გადარევას ყოველთვის ამშვიდებს უდიდესი სინაზე: თქვენი მოგონება“, „ძვირფასო რუსუდან! ძალიან დარდობ განა? მე დამნაშავე ვარ თქვენს წინაშე... ზოგჯერ მომინდება თქვენი ნახვა ისე ძლიერ... სხვა არაფერი ჩრდილავს ჩემს განწყობილებასა და გამარჯვების იმედს. და არ მინდა დავიჯერო, რომ ჩვენ ვერასოდეს ვეღარ ვიხილავთ ერთმანეთს... ახლაც იქნებ არ იყოს გვიან და მე ყველაფერს გავაკეთებ, ოღონდ შევძლო, რომ შენთან არ მრცხვენოდეს, რომ შენ არა გრცხვენოდეს, როცა შენს ახლოს დაიწყება საუბარი პოეზიაზე, მწერლობაზე.“ მირზა.

და-ძმობა მხოლოდ სისხლით ნათესაობა როდია. ის უდიდესი გრძნობა და მოვალეობაც არის, რომელიც ორივე მხარეს ავალდებულებს ერთმანეთისადმი მზრუნველობას, თავდადებას, პატივისცემას. ყოველივე ეს კი შეუძლებელი იქნებოდა, თუ მათ შორის არ იარსებებდა ის უანგარო დამოკიდებულება, რომელიც მხოლოდ და-ძმურ სიყვარულს ემყარება და არაფერზე არ იცვლება.

ჩვენს ირგვლივ განა ცოტა შემთხვევებია, როდესაც დედმამიშვილებს ერთმანეთის მიიმართ საოცარი ერთგულება და თავდადება გამოუჩენიათ? მე მინახავს სამი აცრემლებული და, თვეების მანძილზე საავადმყოფოში როგორ დასტრიალებდნენ თავს მომაკვდავ ძმას, და როცა ექიმთა თავდადებულმა შრომამ მათს ძმას სიცოცხლე დაუბრუნა, ერთ-ერთ დას შევეკითხე: „დამისახელეთ ყველაზე ბედნიერი დღე თქვენს ცხოვრებაში“ — პასუხი დაუფიქრებლად მივიღე: „როდესაც ექიმებმა გვითხრეს — თქვენი ძმა იცოცხლებსო“...

ასეთი დამოკიდებულება ყოველთვის სრულყოფილი ოჯახური ურთიერთობის, შვილების მიმართ მშობელთა ერთნაირი მზრუნველობისა და თანასწორობის პრინციპს ემყარება. ამისათვის ნიადაგს მშობლები უნდა ამზადებდნენ.

დღეს, როდესაც მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ სრულიად ახლებურად დააყენა პიროვნების პრობლემა, მისი გაუცხოების საკითხი, ის, რომ ადამიანები ნაკლებად კომუნიკაბელურნი გახდნენ, წინა პლანზე წამოიწია დედმამიშვილთა შორის დამყარებულმა ურთიერთობამ, რომელიც სხვა ფაქტორებთან ერთად სისხლით ნათესაობასა და ეროვნულ ტრადიციებსაც ითვალისწინებს. ეს დიდი სოციალური პრობლემებია, რომლებიც ახლებურად მიდგომასა და გადაწყვეტას მოითხოვენ. აქ აუცილებელია სოციოლოგების, ეთიკოსების, ფილოსოფოსების, ფსიქოლოგების, იურისტების კომპლექსური კვლევა.

ამ საკითხთა ერთობლიობაში აღზრდის მთელი სისტემა შედის. გაუმართლებელი და დაუშვებელია, რომ დედ-მამა ერთი შვილის ხარჯზე ახდენდეს მეორის განსაკუთრებულ პატივისცემას. ოჯახში შეუძლებელია იგრძნობოდეს რომელიმე შვილის უპირატესობა. მათი ერთმანეთისაგან გამორჩევა დანაშაულია, რადგანაც დაჩაგრულს პრივილეგიურისადმი ანტიპათია უჩნდება, რაც ხშირად სიძულვილში გადადის. არ შეიძლება ბავშვის გათამამება იმის გამო, რომ ის ვაჟია და გვარის გამგრძელებელი. ასეთ ბავშვებს უყალიბდებათ აზრი, რომ ოჯახში მათი სიტყვა კანონია, უჩნდებათ უმცროსი და-ძმის დამორჩილების მისწრაფება; რათა პირადად იყვნენ გამორჩეულნი, არ ერიდებიან მათს სიტყვიერ და ხშირად ფიზიკურ შეურაცხყოფასაც კი. ასე შეურაცხყოფილი ახალგაზრდები კარჩაკეტილნი ხდებიან, ერიდებიან „გარეთ გასვლას“ და თანატოლთა კოლექტივში ყოფნას, უქვეითდებათ სოციალური აქტივობისაკენ მისწრაფება, რაც ცხადია, შემდგომში საზოგადოებრივ საქმიანობაზეც უარყოფითად მოქმედებს, ხოლო დედ-მამისაგან განსაკუთრებით ნასათუთები შვილები და-ძმის შემდეგ მშობელთა დამორჩილებაზე გადადიან. ამ დროს ისინი უმეტესად იძულების ფაქტორს იყენებენ, თუ ყველა სურვილი არ შეუსრულეს, თავს დაანებებენ სწავლას, დათვრებიან, იჩხუბებენ, სახლიდან გაიქცევიან, თავს მოიკლავენ... როცა მშობლები სუსტნი არიან, მათზე ადვილად ახდენენ შვილები გავლენას. ოჯახში ჰეგემონობის მოპოვების შემდეგ ასეთ შვილებს უჩნდებათ მისწრაფება უკვე თანატოლთა შორის უპირატესობისა. ავტორიტეტის შექმნას კი ისინი ცდილობენ სხვათა აბუჩად აგდების ხარჯზე, ე. წ. „დარდიმანდობით“, ფულის უხვად ხარჯვით და სხვა საშუალებით. ხოლო თუ ჯგუფი ვერ დაიმორჩილა, მაშინ გათამამებული ახალგაზრდა ვარდება კონფლიქტურ სიტუაციაში, რომელიც დიდ სირთულეებს ქმნის.

აი ასე იჩენს თავს საზოგადოებაში ახალგაზრდის მიერ ოჯახში შეძენილი მანკიერი თვისება. მშობლები არასოდეს არ უნდა უჩვენებდნენ შვილებს ოჯახში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დარღვევას, თორემ შვილები ამ უარყოფითს საზოგადოებრივ სარბიელზე გასვლამდე უფრო ადრე აღიქვამენ და ეს ჩვეულებრივ ამბად მიაჩნიათ, რაც პირველი საფეხურია უარყოფითი საზოგადოებრივი ტიპის ჩამოყალიბებისათვის.

ჩვენი აზრის სისწორეს სავსებით ადასტურებს რედაქციაში შემოსული წერილები. ისინი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქიდან არის გამოგზავნილი. აი რას გვწერს ერთ-ერთი მათგანი (ვბეჭდავთ შემოკლებით): „ჩემი ძმა ჩემზე უფროსია. ის უკვე სტუდენტია, ეს ის ძმაა, რომელსაც სასტიკად

კ. მარქსის ს. ს. საჯ. სსრ სახელმწიფო ... ბიბლიო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეჯავრები, მაშინ როდესაც, მე მისთვის არაფერი დამიშავებია; ყოველთვის და ყოველნაირად ცდილობს დამამციროს, შეურაცხყოფა მომაყენოს. მისი შიშით ვერსად წავსულვარ. ჩემთანაც ნაკლებად მოდიან. არა მარტო ნათესავებთან, არამედ ჩემს ტოლებთანაც კი შეუძლია სასტიკად გამლანძღოს. მე ძალიან მიყვარს მუსიკა, ძმის შიშით კი ინსტრუმენტსაც ვერ ვეკარები, მაშინვე მოვა, დამიხურავს და მასხარად ამიგდებს. მშობლებმა თუ რაიმე უთხრეს, იმუქრება, სწავლას თავს დავანებებო, ამიტომ დედა და მამა ყოველთვის მირჩევენ მოვითმინო. მაგრამ როდემდე? მეც ხომ მაქვს ჩემი თავმოყვარეობა?!

ეს უკვე აღარ არის და-ძმის ბავშვური კინკლაობა. რა შეიძლება ამას ეწოდოს, თუ არა ბოროტება? ჩვენ აქ საქმე გვაქვს ახალგაზრდასთან, რომელიც უმაღლეს სასწავლებელში მეცნიერების საფუძვლებს ეუფლება. ის შეიძლება კარგი სპეციალისტი დადგეს, მაგრამ, როგორც პიროვნება, არ იყოს სრულყოფილი. საინტერესოა, გრძნობენ თუ არა მშობლები, როგორ შეიძლება სამუდამოდ დაუმახინჯდეს შინაგანი სულიერი სამყარო ვაჟსაც და გოგონასაც?

სამწუხაროდ, ეს შემთხვევა გამონაკლისი როდია. მეორე წერილის ავტორის მდგომარეობა კიდევ უფრო სავალალოა. ის დაწვრილებით გვწერს თავისი ოჯახის ამბავს, იმას, თუ მამის ომში წასვლის შემდეგ, როგორც უფროსი და, როგორ ამოუდგა დედას მხარში, როგორ ეხმარებოდა პატარა ძმის გაზრდაში, ოჯახის მძიმე ტვირთის გაწევაში; დამ მთელი თავისი ახალგაზრდობა შესწირა ძმის ბედნიერებას. ის ქალაქში გაგზავნა სასწავლებლად, თვითონ კი სოფელში დარჩა და ორივე ხელი დედმამიშვილისაკენ ჰქონდა გაწვდილი. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. შვილების ურთიერთობით კმაყოფილი დედა სიხარულით შეჰყურებდა მომავალს. დაც ელოდებოდა ძმის დაოჯახებას. მას სურდა, რომ ძმის სიყვარული ძმისშვილებზე გადაეტანა და რადგანაც საკუთარი კერა არ შეუქმნია, მთელი მზრუნველობით მოჰკიდებოდა ძმის ოჯახს. ძმამ ცოლი შეირთო და დის სიხარულიც დიდხანს არ გაგრძელებულა, რძალმა ოჯახში არევდარევა შეიტანა. ბზარი გაჩნდა და-ძმის ურთიერთობაში, დაიწყო გაუთავებელი დავა ბინის, ქონების, დედის შესახებ. ძმისწულებს აეკრძალათ ბებია-მამიდასთან ურთიერთობა. მოხუცი დედა ჯავრს მიეცა, ავადმყოფობაც მოერია და ლოგინად ჩავარდა. მაგრამ მალე ძმასაც გაუჭირდა. ცოლის მოთხოვნებმა ციხის კარამდე მიიყვანა. ძმამ იგრძნო, მარტო რომ რჩებოდა, ისიც იცოდა, რომ ერთადერთი, ვისაც შეეძლო მისთვის უანგაროდ ხელი გაეწვდინა, ეს და იყო, და ისევ გვერდში ამოუდგა ძმას, მაგრამ რძალი კვლავ ცუდად იქცეოდა. ძმამ ისევ შეაქცია ზურგი დედასაც და დასაც.

დედა და და დახმარებას ითხოვენ. ორ მარტოხელა ქალს შვილისა და ძმის ხელი სჭირდებათ, იმ კაცისა, რომლისთვისაც მათ ყველაფერი გააკეთეს, თვითონ კი სამაგიეროდ ძალიან მცირედს ითხოვენ.

ჩვენ არ გვაინტერესებს ამ საქმის იურიდიული მხარე, ამას სასამართლო ორგანოები გაარჩევენ, მაგრამ მორალურად ეს ახალგაზრდა, ცხადია, ძალიან სცოდავს დედისა და დის წინაშე. ხომ არსებობს დაუწერელი კანონი „სინდისი“. ის ყველაზე კარგი საშუალებაა საკუთარი თავის გასამართლებისა. განა მან — ძმამ, ყველაზე კარგად არ იცის მის წინაშე თავისი ოჯახის წევრების დამსახურება? ნუთუ მას, თვითონ მშობელს ერთხელ მაინც არ უფიქრია, რომ მისი მაგალითით შვილებმაც შეიძლება იგივე მიუზღონ, რასაც ის თავისიანების მიმართ გასცემს. ან თუნდაც რძალი, ერთხელ მაინც არ შეუწუხებია შინაგან ხმას — ასევე მოექცეოდა თუ არა იგი საკუთარ დედ-მამასა და და-ძმას! სად არის სინდისი? თუმც განა შეიძლება რძალი დედამთილისა და მულის მიმართ პატივისცემას ამჟღავნებდეს, როდესაც საკუთარი შვილი და ძმა პირველია მის უპატივცემულობაში?

მესამე წერილის ავტორი ძმაა; აქ ნათლად ჩანს ძმის კეთილშობილება; მწუხარება იმის გამო, რომ და, რომელიც სრულასაკოვანია, ვერ ეგუება ვერავის, განსაკუთრებით კი მას, და რომ ის, თავისი მხრიდან ყველაფერს აკეთებს დასთან ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის, მაგრამ ამაოდ. გვეკითხება როგორ მოვიქცეო.

საკითხი რთულია. ყველა ოჯახი რამდენიმე პიროვნების ერთობლიობაა ტრადიციებით, წეს-ჩვეულებებით, ურთიერთობებით, მოთხოვნილებებით, შესაძლებლობებით. ცხადია, ადამიანმა შეიძლება დაბადებიდან სიკვდილამდე მეორე ადამიანის მიმართ ვერ შეინარჩუნოს ერთი და იგივე დამოკიდებულება: ადამიანი ერთია, პიროვნება—მეორე. ადამიანის პიროვნებად ქცევას და მის ჩამოყალიბებას ბევრი და მრავალგვარი ფაქტორები განსაზღვრავს. მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს ეს ფაქტორები, პიროვნებას უფლებას არ აძლევს გამოიყენოს ისინი მეორის გასანადგურებლად, ჩაკლას მასში საკუთარი მეობა და აქციოს იგი საზოგადოებისათვის თავისებურ პასიურ წევრად. ეს უკვე დანაშაულია. ყოველთვის უნდა შეგვეძლოს წარმოვიდგინოთ საკუთარი თავი სხვის ადგილზე — რას იზამდი, როგორ მოიქცეოდი? ზომიერება ყველაზე კარგი თვისებაა ადამიანისა, იგი ნებისმიერ დროს, ყოველგვარ ურთიერთობაში უნდა მჟღავნდებოდეს. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენს წინაშე ადამიანია, მით უმეტეს ახლობელი, შენი სისხლი, შენი ხორცი, შენი ოჯახის წევრი, რომ ადამიანები დღეს ესოდენ სჭირდებიან ერთმანეთს თავიანთი სითბოთი, სიყვარულითა და ურთიერთობით.

**რუსუდან წიქვაძე**

# ჩვენი იურიდიული კონსულტაცია

რედაქცია მკითხველებისაგან ხშირად იღებს შეკითხვებს. ამჯერად ავტორებს უპასუხებს საქართველოს პროფსაბჭოს შრომის დაცვის განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. **ი. ვ. ცალუღელაშვილი.**

თბილისელი **ნ. კიკნაძე, გ. ხავთასი** და სხვები გვეკითხებიან...

**კითხვა:** ძვირფასო რედაქციავ, ვმუშაობთ მიხაკების სათბურებში, რომელიც ზამთარ-ზაფხულ გადახურულია. მოგეხსენებათ, ყვავილებს ბავშვივით მოვლა და სისტემატური შეწამვლა სჭირდება. სათბურში ჰაერის წნევა ნორმაზე მეტია. ხშირად ფიზიკურ სისუსტესა და ნერვული სისტემის მოშლას ვგრძნობთ.

გვაინტერესებს ვიცოდეთ: სათბურებში მუშაობა მიეკუთვნება თუ არა შრომის მავნე პირობების მქონე საამქროს?

**პასუხი:** თქვენი სამუშაოს მავნე პირობების საკითხი გადაწყდება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის, პროფდაავადებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და შრომის ჰიგიენის ინსტიტუტის ერთობლივი დასკვნის საფუძველზე.

**კითხვა:** რამდენი წელიწადი უნდა იმუშაოს ქალმა სათბურებში, რომ პენსია დაენიშნოს?

**პასუხი:** როცა დაადგენთ შრომის მავნე პირობების არსებობას სათბურებში, რომელიც უნდა უპასუხებდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 22 აგვისტოს დადგენილებით დამტკიცებულ მონაცემებს (მავნე პირობებიან საწარმოებში, საამქროებში, პროფესიებსა და თანამდებობებზე, აგრეთვე მიწისქვეშა სამუშაოებზე დასაქმებული მუშაკებისათვის შეღავათიან პირობებში, შეღავათიანი სახელმწიფო პენსიის მიღების უფლების შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გვეკითხებიან — ვუპასუხებთ!

სახებ), მხოლოდ მაშინ გადაწყვეტს შესაბამისი რაიონული სოცუზრუნველყოფის განყოფილება თქვენი პენსიით უზრუნველყოფის საკითხს.

**კითხვა:** სათბურებში მომუშავეებს გვეკუთვნის თუ არა სპეციალური კვება?

**პასუხი:** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის სახელმწიფო კომიტეტისა და სსრ კავშირის პროფსაბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 1 ივლისის დადგენილებით: მავნეპირობებიან სამუშაოებზე დასაქმებულ მუშებსა და მოსამსახურეებს რძე მიეცემათ შესაბამისი ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის ერთობლივი დადგენილებით (სანეპიდსადგურის სამედიცინო დასკვნის საფუძველზე). თუ მუშაკი მავნეპირობებიან სამუშაოზე თავისი სამუშაო დროის 50 პროცენტზე მეტი დროით არის დასაქმებული, დღეში მიეცემა 0,5 ლიტრი რძე.

**კითხვა:** სათბურებში მომუშავეებს გვეკუთვნის თუ არა სპეცტანსაცმელი და სხვა საყოფაცხოვრებო მომსახურების შეღავათები?

**პასუხი:** დარგობრივი ნორმების საფუძველზე, საყვავილე მეურნეობებსა და სათბურებში მომუშავეთათვის გათვალისწინებულია უფასოდ მიეცეთ ბამბის ქსოვილის წინსაფარი, რომლის ხმარების ვადაა 12 თვე დღიდან მიღებისა და კომბინირებული ხელთათმანები 3 თვის ვადით.

სანიტარულ-საყოფაცხოვრებო სათავსებით უზრუნველყოფის საკითხს გადაწყვეტს საწარმოო პროცესის ხასიათი და მომუშავეთა რაოდენობა როგორც საერთოდ, ისე ცვლაში.

**კითხვა:** გთხოვთ გვიპასუხოთ, რა ასაკის ბავშვის ავადმყოფობის გამო ეძლევა დედას საავადმყოფო ფურცელი და რამდენი დღით?

**მ. კობეშავიძე, გ. ნიშნიანიძე,**
**ქუთაისი.**

**პასუხი:** სსრ კავშირის პროფსაბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 5 თებერვლის დადგენილებით: დახმარება ავადმყოფი ბავშვის მოვლისათვის, რომელიც არ არის მიღწეული 14 წლის ასაკს, გაიცემა იმ დროის მანძილზე, ვიდრე ბავშვი საჭიროებს მოვლას, მაგრამ არა უმეტეს 7 კალენდარული დღისა. ამასთან, მარტოხელა დედებს, ქვრივებსა და განქორწინებულ ქალებს ავადმყოფი ბავშვის მოვლისათვის, რომელიც არ არის მიღწეული 7 წლის ასაკს, შეიძლება დახმარება მიეცეთ 10 კალენდარულ დღემდე (1973 წლის 17 აგვისტოს რედაქციით).

დედას, რომელიც გათავისუფლებულია სამუშაოდან, ავადმყოფ ბავშვთან ერთად სტაციონარში ყოფნისათვის, დახმარება მიეცემა გათავისუფლების მთელი დროისათვის (1957 წლის 1 თებერვლის რედაქციით).

**კითხვა:** ორსულ ქალს, რომელსაც ბავშვის დაბადებამდე 3-4 თვე დარჩა, აქვს თუ არა უფლება ბინის განაწილების დროს მოითხოვოს დამატებითი ფართობი ექიმის ცნობის საფუძველზე?

**მ. თვაური,**
**თბილისი.**

**პასუხი:** საქართველოს სსრ პროფსაბჭოს პრეზიდიუმისა და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ერთობლივი დებულება (ქ. თბილისში საცხოვრებელი ფართობის აღრიცხვისა და განაწილების შესახებ, დამტკიცებული 1976 წლის 25 მარტს) საცხოვრებელი ფართობით დაკმაყოფილებისას ითვალისწინებს მხოლოდ ოჯახის იმ წევრებს, რომელნიც ირიცხებიან ოჯახის შემადგენლობაში ამ მომენტისათვის.

სხვა დამატებითი საკითხები შეუძლიათ გადაწყვიტონ სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომებმა და შესაბამისმა კომისიამ.

## კაპიტალის სამყაროში

### ან წამშალეთ ფულზე, ან მომეცით სამუშაო...

რა საშუალებას და ხერხს არ მიმართავენ ახალგაზრდები უმუშევრობიდან თავის დასაღწევად იქ, სადაც კაპიტალი ბატონობს. მართლაც, უჩვეულოა 22 წლის მარილენა ინოჩენცის ამბავი. ამას წინათ, მან საჩივარი შეიტანა იტალიის ეროვნულ ბანკში, სადაც წერდა, არაფერი მექნება საჩივლელი, თუ კი სამუშაოს მომცემთო.

მარილენა სუბიაკოს პროვინციის პატარა სოფელ როვიანოში ცხოვრობს. მისი ნატიფი, ლამაზი, დახვეწილნაკვთებიანი სახე ფილიგრანულ ნამუშევარს მოგაგონებთ. ამიტომ სოფელშიც მას ხუმრობით „ფილიგრანას“ ეძახდნენ.

ერთ დღეს მან თავისი თავი „ამოიცნო“ იტალიის ბანკის მიერ ახლადგამოშვებულ 50 ათასი ლირის აღმნიშვნელ ფულის ბანკნოტზე. პირველად გაუკვირდა, შემდეგ გაიხსენა, რომ ამ ორი წლის წინათ მათთან სტუმრად იყო ოჯახის მეგობარი მხატვარი. მხატვრის ყურადღება მაშინვე მიიქცია გოგონას თავის მოყვანილობამ, სახემ და პოზირებაზე დაითანხმა. ამ მხარეში „პოზირება“ უცხო არ არის, თითქმის ტრადიციულია, რადგან ეს სოფელი „ორ ნაბიჯზეა“ მეტად ცნობილ არტიკოლო კორადოსგან, რომელიც განთქმულია თავისი გოგონებით. აქ ხშირად შეხვდებით ჯანმრთელ, კლასიკურნაკვთებიან ჯიშიან გოგონებს, ანტიკური პროფილით. თანაც ნაკლებად პრეტენზიულებს, დიდი ქალაქების „ნატურებთან“ შედარებით, ერთი სიტყვით, იდეალურ მოდელებს მხატვრებისათვის. ამიტომ არის, რომ წელიწადის ყველა დროს აქ სხვადასხვა სახის შემოქმედთა ჯგუფები ჩა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიან მათს „მოსანადირებლად“. სხვათაშორის, მარილენას დედაც წარმოშობით არტიკოლო კორადოდან არის. ამბობენ, თავის დროზე მასაც დიდი წარმატება ჰქონდა, განსაკუთრებით მოქანდაკეებთანო. სოფელში იგონებენ კიდეც ვატიკანის მუზეუმის ბრწყინვალე გამოფენაზე წარმოდგენილი, მშვენიერი ქალის ბრინჯაოსაგან გამოკვეთილი თავი ორი წვეთი წყალივით ჰგავს ახალგაზრდობაში მის სახესო.

ორი წლის წინათ დახატა მხატვარმა ვინჩენცო სავინიმ მარილენას პორტრეტი. ამისთვის ერთი კვირის განმავლობაში ორი საათი იჯდა გოგონა მხატვრის წინ. მწარედ იგონებს ქალიშვილი იმ პერიოდს. ამის გამო მან დანიშნულიც კი დაკარგა. ეჭვიანობით გახელებულმა ვაჟმა ნიშნობა დაარღვია. მხატვრის დედამ, პორტრეტის დამთავრების შემდეგ ტკბილეულით სავსე ლარნაკი მიართვა მარილენას და ახარა, პორტრეტი საუცხოო გამოვიდაო.

მას შემდეგ მოვლენები ასე განვითარდა: იტალიის ბანკმა გამოაცხადა კონკურსი საუკეთესო ფილიგრანულ ნამუშევარზე, რომელიც 50 ათას ლირის ღირებულების ფულზე უნდა გადაეტანათ. კონკურსში გამარჯვება წილად ხვდა ვინჩენცო სავინის. ასე მოხვდა მარილენას სახე ფულზე.

— რატომ უნდა ხდებოდეს ასე, — ფიქრობს გოგონა, — რომ დიდი თევზები პატარებს ყლაპავენ. თვითონ ფული გააკეთეს, მე კი — არაფერი! მხატვარს დიდი ჰონორარი მისცეს. ბანკმა ამოდენა კონკურსი წარმატებით ჩაატარა და ჩემი ხსენებაც კი არსად არის, მაშინ, როცა მე უმუშევრობისაგან სასოწარკვეთილებაში ვარ ჩავარდნილი. არა, ამ საქმის ასე დატოვება არ შეიძლება. რა გამოვიდა იქიდან, რომ ყოველი მხრიდან მხოლოდ ეს მესმოდა: „ფილიგრანა! ფილიგრანა“. რაში გამომადგა?

აი, ჩემს წინ ორმოცდაათიათასლირიანია. მასზე ნამდვილად მე ვარ გამოსახული, თუმცა კი თმა ცოტათი გაუშლიათ. ალბათ, ამას ფილიგრანული დამუშავება მოითხოვდა.

მარილენა დარწმუნებულია, რომ გაიმარჯვებს და მიიღებს სანუკვარ სამუშაოს, რასაც დიდი ხანია ამაოდ ეძებს. სუბიაკოს ადვოკატს სინიორ კამპის ამჟერად მეტად უჩვეულო მისია აქვს. შეძლებს კი მოიპოვოს გოგონასათვის სამუშაო? ბანკს ხომ თავისი კანონები აქვს.

იტალიურიდან თარგმნა

**ზაირა სტურუამ**

# როგორ მოვუაროთ დაჭრილ ყვავილებს

ყვავილი ბუნების ღიმილია, იგი ცხოვრებას ალამაზებს. უყვავილო ოთახი ცარიელია, ცივი და მოწყენილი.

ყვავილი უნდა მოიჭრას ადრე დილით — ალიონზე ან გვიან საღამოს. ამ დროს კოკრისა და საყვავილის ყუნწის უჯრედები ტენით და საკვები ნივთიერებებით უფრო მეტად არის გაჟღენთილი. მაშინვე უნდა ჩაიწყოს წყლით სავსე ღრმა ჭურჭელში და მოთავსდეს გრილსა და ბნელ სარდაფში. ყვავილი უნდა გადაიჭრას მუხლზე და ირიბულად. ამით გადანაჭრის ფართობი დიდდება და უმჯობესდება ღეროში წყლის შეწოვა. შეიძლება ღეროს ქვედა ნაწილი დაისრისოს.

შორ მანძილზე გადასაგზავნი ყვავილები ღერებით უნდა მოთავსდეს წყლით გაჟღენთილ ღრუბელში, ბამბაში ან ხავსში, შემდეგ ცალკეულად შეიხვეს თხელ ქაღალდში და ჩაიწყოს დაბალ მუყაოს ყუთში.

ყვავილები მიღებისთანავე უნდა გაიხსნას, გადაეჭრას ერთი სანტიმეტრის სიგრძეზე ღეროს ბოლოები და ცოტა ხნით ჩაიწყოს ცივ წყალში. თუ მიღებული ყვავილები: ქრიზანთემა, ვარდი, იასამანი, გეორგინა დამჭკნარია, 20-30 წუთით 50 გრადუსის მქონე ცხელ წყალში აწყობენ და შემდეგ ისევ ცივ წყალში გადააქვთ.

ლარნაკში ლამაზი კომპოზიციების შესაქმნელად ყვავილებთან ერთად იყენებენ ზოგიერთი გვიმრის, სატაცურის, ვერცხლა აკაციის, თელისა და მერქნიან მცენარეთა ყლორტებს, ტოტებს, ნაყოფსა და ფოთლებს.

წყალი ლარნაკში ყოველდღე უნდა გამოიცვალოს, წყალს ოთახის ტემპერატურა უნდა ჰქონდეს, თუმცა ფურისულა, თეთრყვავილა, ია, ენძელა ცივ წყალს უფრო იტანს.

ღამით ყვავილები ოთახიდან შედარებით გრილ ადგილას უნდა გავიტანოთ. სასურველია ყვავილის ღეროს ქვედა ნაწილი წყლიდან ამოუღებლად გადაიჭრას, რათა შემწოვი მილები ჰაერის ბუშტულებით არ დაეცოს, მოჭრილ ყვავილს მზის სხივები პირდაპირ არ უნდა მოხვდეს. ლარნაკში წყლის გამოცვლასთან ერთად ყვავილებს ყველა ადვილადლპობადი ნაწილი (ფოთოლი, ყლორტი) უნდა შევაცალოთ.

მოჭრილ ყვავილებზე სხვადასხვაგვარად მოქმედებს არასასურველი პირობები და ტრანსპორტირება. მაგალითად, ღეროს შემწოვი მილების ჰაერის ბუშტულებით დაცობისას — ზამბახის, ტიტას კოკრები არ იშლება, ვარდი ჭკნება, ხოლო შროშანის, ანთირინუმის, კალცეოლარიის კოკრები და ფოთლები ყვითლდება და სცვივა.







მოჭრილ აბილილის სიცოცხლის ხანგრძლიობა 1 დღეა, ტიტასი და ვარდისა 5-6 დღე, ხოლო მიხაკისა და ქრიზანთემისა 10-14 დღე.

სასარგებლოა ყვავილს წვიმის წყალი შეაპკუროთ, რადგან ონკანის ქლორიან წყალს ცუდად იტანს.

მოჭრილ ყვავილებს რომ სიცოცხლე გავუგრძელოთ, შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებები. მაგალითად, ბოლო ხანებში მიხაკის სიცოცხლის ხანგრძლიობისათვის ახალ პრეპარატს — წიწვოვანთა ექსტრაქტს (კონცენტრატს) ხმარობენ.

ერთ ლიტრ წყალში ხსნიან 50 გრამ შაქარს და 10 გრამ ექსტრაქტს. ნაზავში აწყობენ 10-18 სანტიმეტრის სიგრძეზე აჭრილ ყვავილს. ასე დამუშავებულ მიხაკს 11-23 დღით უნარჩუნებენ სიცოცხლეს. მოჭრილი ყვავილის გამძლეობისათვის, აგრეთვე, წყალს უმატებენ სხვადასხვა ქიმიურ ნივთიერებებს: მაგალითად, ვარდისა და ლევკოიონისათვის ხმარობენ ნახშირმჟავას ხსნარს, რაც ყვავილში მომწიფების პროცესს, სიბერეს აჩერებს.

სასურველია, მცენარეები დამუშავდეს მოჭრისთანავე, ნაზავისათვის სასურველი არ არის ლითონის ჭურჭლის გამოყენება. ნაზავი არ უნდა აიმღვრეს.

ყვავილები სიტკბოს მოყვარულებიც არიან. ამიტომ კარგია, თუ წყალში შაქარს ჩავყრით. მაგალითად, ლომისპირას და გეორგინას ნახევარპროცენტიანი შაქრის ხსნარი სჭირდება, ვარდს შვიდპროცენტიანი, მიხაკს — თხუთმეტპროცენტიანი და სხვა. მცენარეთა სახეობის მიხედვით წყალი შეიძლება 2-7 პროცენტამდე დავატკბოთ.

ბევრი ყვავილის სიცოცხლის ხანგრძლივობას ხელს უწყობს წყალში მცირე დოზის სხვადასხვა ქიმიკატების დამატება.

მერქნიან მცენარეთა ტოტებისათვის ძალიან კარგია კალიუმის პერმანგანატის სუსტი ხსნარი. ამ ხსნარში ტოტები თითქმის ერთ თვეს ინარჩუნებს სიცოცხლეს.

როგორც საბჭოთა, ისე ზოგიერთი უცხოელი მეყვავილე ყვავილის გამძლეობისათვის ლარნაკში უმატებს 1-10 პროცენტიან ბორის სიმჟავის ხსნარს, შაბს (0,06-0,08); ასპირინს (ნახევარი აბი 3 ლიტრ წყალზე), სუფრის მარილს (2-5 გრამი 1 ლიტრ წყალზე), გვარჯილის ხსნარს (1-3 გრამი 1 ლიტრ წყალზე), არაყს, ჩაუმქრალ კირს, გლიცერინს, ძმარს, ხის ნახშირის წვრილ ნატეხებს, ბურას და სხვ., რაც აჭრილი ყვავილების მიხედვით უნდა გამოვიყენოთ.

ერთ ლარნაკში მოთავსებული სხვადასხვა ყვავილი ხშირად ცუდად მოქმედებს ერთიმეორეზე. მაგალითად, ნარგიზთან მოთავსებულ ტიტას გამძლეობა აკლდება. მთის შროშანა არ შეიძლება იებთან ერთად ჩაიწყოს. სურნელოვანი თეთრო საერთოდ ვერ იტანს სხვა ყვავილს.

ბუნების ლამაზ ქმნილებას — ფაქიზი მოვლა და ყურადღება მარტო ოთახში კი არა, ოთახს გარეთ, ქუჩებში, ბაღებსა და სკვერებშიაც ესაჭიროება.

სავალალოდ, საკუთარი თვალით მინახავს ზოგიერთი რა უგნურად, უსულგულოდ ეპყრობა ბუნების მშვენებას — ყვავილებსა და დეკორაციულ მცენარეებს — აბინძურებს და ანაგვიანებს ბაღს, სკვერებს, ფეხით თელავს ბილიკებს, მწვანე მოლს, ყვავილებს, ბორდიურებს, ძირიანად გლეჯს ყვავილს, ამტვრევს ტოტებს, სერავს ხის ღეროს, გორაობს მოლზე, ვიწრო ბილიკებზე დაჰქრის მსუბუქი ავტომანქანით, სოფლის შარაგზებზე პირუტყვი თავისუფლად კორტნის მწვანე ნარგავებს.

ყველაფერი ეს ხომ ჩვენთვის, ჩვენს დასატკბობად, გასახარად არის გაშენებული. მერედა, რატომ არ უნდა ვუფრთხილდებოდეთ „ტურფასა საბაღნაროსა"!

გიყვარდეს მწვანე სამყარო, გიყვარდეს ყვავილები, ის ხომ ბუნების ღიმილია!!

**ირაკლი ხმალაძე**

# რჩევები

ჩაშავებული ან გაჭუჭყიანებული მონიკელებული საგნები შეიძლება გაიწმინდოს ნიშადურის სპირტისა და კბილის ფხვნილის ფაფისებრი ნარევით. როდესაც ნარევი გაშრება, საგანი გაწმინდეთ სუფთა, მშრალი ჩვრით, შემდეგ კი მაუდით გააპრიალეთ.

* * *

ჩაის სველი ნარჩენებით კარგად იწმინდება ნოხი. სველ (ნოტიო) ჩაის მიმოაბნევთ მტვერსასრუტით საგულდაგულოდ გაწმენდილ ნოხზე, შემდეგ კი გადაგვით სუფთა ჯაგრისით. ფერების გამოსაცოცხლებლად რეკომენდებულია ნოხის გაწმენდა ძმარში დასველებული ნაჭრით.

* * *

მელნის ლაქა პარკეტიდან ამოყავთ „პერსოლით". ამისთვის ლაქას დააყრიან ფხვნილს და მთელი ღამე დატოვებენ. შემდეგ კი ცხელი წყლით მორეცხავენ. თუ ლაქა მაინც დარჩა, პროცედურა უნდა განმეორდეს.

პერსოლის მაგივრად შეიძლება გამოვიყენოთ ერთი ფლაკონი წყალბადის ზეჟანგი, რომელსაც დაემატება რამდენიმე წვეთი ნიშადურის სპირტი.

მელნის ლაქის მოსაცილებლად ხმარობენ ცხელი ძმრის ესენციასაც.

ხშირად გაწმენდის შემდეგ პარკეტზე ზოგიერთი ადგილი ბაცი ფერისა რჩება. იმათი დანარჩენ ფართობთან გათანაბრება შეიძლება პარკეტის საწმენდი საშუალებებით, ოღონდ, იგი პარკეტის სერთო ფერს უნდა მივუსადაგოთ.

* * *

ცხიმის ლაქები ნოხიდან კარგად ამოჰყავს ბენზინისა და კარტოფილის (ან სიმინდის) სახამებლის ნარევს. ეს ფაფისებრი ნარევი ლაქას წაუსვით და როდესაც ბენზინი აქროლდება, სახამებელი მშრალი ჯაგრისით მოაშორეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კულინარია

## ლაბა არტალა

გარეცხილი 2 კილოგრამი ძროხის არტალა ნაჭრებად დაჩეხეთ, ქვაბში მოათავსეთ, იმდენი წყალი დაასხით, რომ ხარშვისას დამატება არ დასჭირდეს, ადუღების დაწყებისას მოხადეთ ქაფი. შემდეგ ნელი დუღილით ხარშეთ და თან ქაფი და ცხიმი მოხადეთ. ერთი საათით ადრე, სანამ ხარშვა დასრულდებოდეს, დაუმატეთ ერთი თავი ხახვი, ერთი ძირხვენა ოხრახუში (ღეროებიანად), 2 ძირხვენა ნიახური (ღეროებიანად), 2 კბილი დაჭრილი ნიორი, 2 დაფნის ფოთოლი, 5 მარცვალი პილპილი, 8 მარცვალი ბაჰარი და ხარშვა განაგრძეთ. ხარშეთ, სანამ ხორცი ადვილად არ დაიწყებს ძვლისაგან მოცილებას. შემდეგ ცხიმი მოხადეთ, დაფნის ფოთოლი მოაცილეთ და ბულიონი გაწურეთ. ხორცი ძვალს მოაცილეთ და დაჭერით. გაწურული ბულიონი ცოტა ხანს ცეცხლზე დადგით, მცირე ხანს ადუღეთ და ღვინის ძმრით და მარილით შეაზავეთ.

დაჭრილი ხორცი შეურიეთ გაწურულ ბულიონს (მდუღარეს), ადუღეთ 2-3 წუთი, ცეცხლიდან გადმოდგით, დაუმატეთ მარილთან ერთად დანაყილი 3 კბილი ნიორი, აურიეთ, ჩაასხით ყალიბებში (რომელსაც წინასწარ გამოვლებული ექნება წყალი) და გააცივეთ.

## შინაური ფრინველის კუჭმაჭი კვერცხით

გასუფთავებული, გარეცხილი შინაური ფრინველის კუჭმაჭი (გული, კუჭი, ღვიძლი, ფილტვები) თავისი ცხიმიანად დაჭერით. ფრთა, კისერი, ფეხები დაჩეხეთ. მოათავსეთ ღრმა ტაფაში, დაუმატეთ 4-5 თავი წვრილად დაჭრილი ხახვი, 70-100 გრამი ცხიმი და მოხრაკეთ. შემდეგ ჩაუმატეთ 3-4 ცალი კანგაცლილი დაჭრილი პამიდორი, წვრილად დაჭრილი 1½ ჩაის ჭიქა მწვანილი (ქინძი, ოხრახუში, კამა, პიტნა, ტარხუნა), პილპილი და მარილი გემოვნებით და ხარშეთ შემზადებამდე.

ცალკე ჭურჭელში 3-4 კვერცხი ათქვიფეთ და თან შეურიეთ წვრილად დაჭრილი რეჰანი და ქონდარი, დაასხით მზა კერძს, შედგით ღუმელში და გააჩერეთ კვერცხის შემზადებამდე.

## ჩაშუშული იხვი

გასუფთავებული, გარეცხილი, საშუალო სიდიდის იხვი ასო-ასო დაჭერით, მოათავსეთ ქვაბში, დადგით ცეცხლზე და თავისივე სიმსუქნეში ჩახრაკეთ ძალიან ცოტა მდუღარის დამატებით. როცა ხორცი შეწითლდება, დაუმატეთ წვრილად დაჭრილი 5 თავი ხახვი, კანგაცლილი 4 ცალი პამიდორი, გემოვნების მიხედვით წიწაკა, მარილი, 1, ½ ჩაის ჭიქა თეთრი ღვინო, დაახურეთ თავსახური და შუშეთ შემზადებამდე.

## ორცხობილაში შემწვარი ბატი

გასუფთავებული, გარეცხილი, საშუალო სიდიდის ბატის ნახევარი დაჭერით ასო-ასო და მოაყარეთ წმინდა მარილი. 2 კვერცხი კარგად გათქვიფეთ და თან უმატეთ წვრილად დაჭრილი ქინძი (6-7 ღერი) და მარილი გემოვნებით.

გამზადებული ბატის ნაჭრები დაასველეთ ათქვეფილ კვერცხში, ამოავლეთ თქვენს გემოზე დანაყილ ორცხობილაში ან სიმინდის ფქვილში, კვლავ ამოავლეთ გათქვეფილ კვერცხში და შეწვით ცხელ ცხიმიან ტაფაზე.

დაკეპეთ 500 გრამი კომბოსტოს მწნილი, ჩადეთ ქვაბში, დაუმატეთ წვრილად დაჭრილი სამი თავი ხახვი, ბატის ცხიმი და ერთად კარგად მოშუშეთ.

შემწვარი ბატი დააწყეთ ლანგარზე, გარშემო შემოუწყეთ მოშუშული კომბოსტო, ზემოდან კი მოაყარეთ წვრილად დაჭრილი მწვანილი და ბროწეულის მარცვლები.

## კვერცხი სატენით

მაგრად მოხარშეთ 4-5 კვერცხი, გააციეთ და ნაჭუჭი მოაცილეთ. თითოეული ნაჭუჭგაცლილი კვერცხი მჭრელი დანით სიგრძეზე გაჭერით და ფრთხილად გამოიღეთ კვერცხის გული, ისე, რომ ცილა არ დააზიანოთ, კვერცხის გულს დაუმატეთ ძალიან წვრილად დაჭრილი 1 თავი ხახვი, გემოვნების მიხედვით პილპილი, აზელილი კარაქი, მარილი (თუ გსურთ შეურიეთ მზა მდოგვი) და კარგად აზილეთ. მიღებული მასით გამოტენეთ გულგამოცლილი ცილის ნახევრები, შუაში ჩაურჭვეთ ოხრახუშის გაფოთლილი პაწაწა ღერო.



## ქათმის ბარო კვერცხით

გასუფთავებული, გარეცხილი ერთი საშუალო სიდიდის მსუქანი ქათმის ნახევარი ასო-ასო აჭერით, ქვაბში მოათავსეთ და ნელ ცეცხლზე მოშუშეთ, თან ცოტა მდუღარე წყალი დაუმატეთ. მერე დაუმატეთ ძალიან წვრილად დაჭრილი 3-4 თავი ხახვი და მოხრაკეთ. ხრაკვის დროს თანდათანობით დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი.

700 გრამ მწიფე პამიდორს კანი მოაცილეთ, კარგად აჭყლიტეთ ხის კოვზით, ჩაასხით ქათმიან ქვაბში და მოხარშეთ. შემდეგ მდუღარე ქათმიან წვენში ჩაყარეთ 2-3 სუფრის კოვზი მოხარშული ბრინჯი. ცოტა ხნის მერე დაუმატეთ მარილთან ერთად დანაყილი ნიორი, წიწაკა, ქინძი (გემოვნებით). ორი-სამი წუთის შემდეგ შიგ სათითაოდ ჩაახალეთ 4-5 კვერცხი და ცეცხლზე კვერცხის შემზადებამდე გააჩერეთ.

თამარ სულაქველიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა













# მოდური ვარცხნილობა





მოდურად ითვლება ოთხი ტიპის ვარცხნილობა:

1. მოკლედ ან ზომიერად მოკლედ შეჭრილი, წინ „ჩოლკით“ და გვერდზე გადავარცხნილი;

2. საშუალო სიგრძის თმა, დავარცხნილი ოცდაათიანი წლების ყაიდაზე ან, უბრალოდ, გვერდზე გადაყოფილი.

3. კონად შეკრული გრძელი თმა — უკან სადად გადავარცხნილი ან შუბლზე გაბედულად გადმოწეული.

4. გრძელი ოდნავ დახვეული თმა, რომელიც თავს გვირგვინივით ერტყმის ან რბილ ტალღებად მხრებზე ეცემა.

„ბოლგარსკაია ჟენშჩინა“.







ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქვედატანი





მრავალი წლის მანძილზე ქვედატანი (სწორი ან ტრაპეციის ფორმისა) ქალის ტანსაცმლის მხოლოდ ერთი ნაწილი გახლდათ. პირველობა უფრო ბლუზებსა და პულოვერებს ეკავათ. ამ ბოლო ხანს კი ქვედატანმა საკმაოდ მყარი პოზიციები დაიკავა — ქალის ტუალეტის აუცილებელ ნაწილად იქცა.

რაც შეეხება ქვედატანის სიგრძეს — აგერ რამდენიმე წელია მოდაა სამგვარი ზომის ქვედატანისა: ოდნავ მუხლის ქვემოთ, შუა წვივამდე და გრძელი.

ქვედატანის ფორმა და სიგანე კი მრავალნაირია. მოდაა ყოველგვარი ფორმის ქვედატანისა: სწორი, ირიბი, ნაკეცებიანი, დაპლისული, ნაოჭებიანი და ა. შ.











გარეკანის პირველ გვერდზე — სოციალისტური შრომის გმირი ლუბა ნიჟარაძე; მეოთხე გვერდზე — ელენე ახვლედიანის „ზამთარი თბილისში“. დ. იაკობაშვილის ფერადი სლაიდები.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი)

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, № რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 4/XII-78 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/I-79 წ., ქაღალდის ზომა 60×90¹/₃, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3
ტირაჟი 126.000, შეკვ. 3247 უე. 00605 ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კუმურდო

„შეწევნითა ღმთისაითა იოვანე ეპისკოპოსმან დადვა საძირკველი ამის ეკლესიისაი ხელითა ჩემ ცოდვილისა საკოცარისაითა“ — მოგვითხრობს სახელგანთქმული საეპისკოპოსო ტაძრის კუმურდოს მთავარი სამშენებლო წარწერა, რომელიც ჯავახეთში, ახლანდელი ახალქალაქის რაიონში, რაიონის ცენტრიდან 12 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს.

კუმურდო იმ იშვიათძეგლთაგანია, რომელიც ზუსტად თარიღდება თავისი საამშენებლო წარწერით (964 წელი) და ცნობილი ხდება როგორც მშენებლობის მოთავის ვინაობა, ისე ხუროთმოძღვრის — საკოცარის სახელი.

კუმურდოს ტაძარი შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ერთი მწვერვალთაგანია როგორც მხატვრული ღირსებებით, ისე ტექნიკური შესრულების დონითაც.

მართალია, ტაძარი ძირითადად 964 წელს არის აშენებული, მაგრამ XV საუკუნეში, მეფე ბაგრატ IV დროს. სამხრეთიდან ეკლესიას მიაშენეს ღია ეჳტერი, რომლის თაღებიც უფრო გვიან ამოქოლეს XVI საუკუნეში ტაძარი გადააკეთეს, შემდეგ კი (ალბათ მიწის ძვრისაგან ძეგლი ძლიერ დაზიანდა, მაგრამ საშუალებას იძლევა მის შესახებ სრულყოფილი დასკვნები გამოვიტანოთ.

როგორც აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე აღნიშნავს, „ეს ტიპური გარდამავალი“ ძეგლია სწორედ გეგმის თვალსაზრისით: შიგნით, გუმბათქვეშა ექვსწახნაგის გარშემო განლაგებულია შენობის ცენტრისაკენ გახსნილი ხუთი ღრმა აფსიდი: ორ-ორი, ერთმანეთის პარალელურად მოთავსებული — სამხრეთითა და ჩრდილოეთით, ერთი ყველაზე უფრო ღრმა—აღმოსავლეთით. დასავლეთით დაგრძელებული სწორკუთხა მოხაზულობის მკლავი ბოძებით სამ „ნავად“ იყო გაყოფილი. გუმბათი ეყრდნობა აფსიდებით შვერილებზე წაბმულ წახნაგოვან ბოძებს. მაგრამ ექვსაფსიდიანი ეკლესიებისაგან განსხვავებით გარედან ეს შიგა გეგმა ჩასმულია სწორკუთხა მკლავებიანი წაგრძელებული ჯვრის ფორმაში, რომელიც გამოყენებულია X-XI საუკუნეების მიჯნაზე ზოგ სხვა ძეგლშიაც“.

კუმურდო მნახველს ხიბლავს გარეგნული იერით, მისი პერანგის ქვა მოვარდისფროა, აქა-იქ სისხლისფერი ქვებია, რაც ძეგლს განუმეორებელ იერსახეს აძლევს. 1964 წელს ზეიმით აღინიშნა ძეგლის მე-1000 წლისთავი, ხოლო შემდგომში კი განხორციელდა გასამაგრებელი სამუშაოები.

ირაკლი ზაქარიაშვილი



ИНДЕКС 76178

ეროვნული ბიბლიოთეკა